რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

კვირა, 27 აგვისტო 1917 წ.

ერთობა

ფასი 12 კაპ.

ხელის მოწერის ფასი: ერთი თვით 2 მან. 60 კაპ., ორი თვით 5 მ. 20 კ., სამი თვით 7 მან. 80 კ., ოთხი თვით 10 მ. 40 კ. ცალკე ნომერი ყველგან 12 კ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—80 კაპ., მეოთხე გვერდზე—15 კაპ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 6 მ. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საათისა. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба“. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 133 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 133

პური

ვინაიდან ბევრმა 20 აგვისტოსთვის ვერ მოასწრო პურის ბარათების აღება, ამიტომ პურის ბარათებით გაყიდვა გადაიდო განუსაზღვრელ დროისთვის. ქალაქის სასურსათო კომიტეტს ამით უნდოდა, ყველას მიეღო ბარათები და უპუროთ არავინ დარჩენილიყო.

ამჟამად ქალ. სასურ. კომიტეტი აუწყებს ქალაქის მკვიდრთ, რომ ამა წლის პირველ სექტემბრიდან ყველგან პური გაიყიდება მხოლოდ ბარათებით.

რადგან საყოველთაო კრიზისია სურსათისა, აუცილებლად საჭირო იყო ბარათების შემოღება პირველ საჭიროების საგნებზე, განსაკუთრებით პურის.

ამიტომ ხმები, რომ ვითომც პურის ბარათები აღარ იქნებაო, მოკლებულია ყოველ საფუძველს.

მოქალაქენო, დააჩქარეთ და აიღეთ ბარათები აგვისტოს დამლევამდე.

ნუ დააგვიანებთ, თორემ ბევრი რომ მოაწყდენ ერთბაშად სასურსათო კომიტეტებს, ბარათების მიღებას ვერ მოასწრებთ.

დაწესებულებათ ბარათებს მისცემენ ქალაქის სასურსათო კომიტეტის საპურო კომიტეტში თანახმად დამოწმებულ სიისა, რომელიც უნდა წარადგინოს საგანგებოდ გაგზავნილმა პირმა.

ქალაქის სასურსათო კომიტეტი. (3—2)

ღრმად დამწუხრებული მშობლები: ანტონ ივანეს ძე და [illegible] გიორგის ასული ძნელაძეები შვილებითურთ უღრმესი მწუხარებით აცნობებენ ნათესავებს და მეგობრებს ტრაგიკულად გარდაცვალებას საყვარელი შვილის ქართული ბატალიონის პრაპორშჩიკი

აკაკი ანტონის ძე ძნელაძის

რომლის პანაშვიდი გადახდილ იქნება თფილისის რკინის გზის საავადმყოფოში, დღეს 27 ნაშუადღევს 6 საათზე, საიდანაც მიცვალებულს წაასვენებენ [illegible] და დაკრძალავენ 29 მარიამობისთვეს, დილის 10 საათ.

კვირას 27 აგვისტოს დილის 9 საათზე

გრიგოლ დიმიტრის ძე საველიევის

გარდაცვალების ნახევარ წლის თავზე განსვენებულის ცხედარი ნავთლუღის სამხედრო საავადმყოფოდან გადმოსვენებულ და დაკრძალულ იქნება კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე: სოფიო, დედა სოფიო, შვილები მარუსია, ნინა და გრიგოლი

(2—2)

ვერის პოლიტიკური კლუბი

(მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების სახლი)

კვირას 27 აგვისტოს საღამოს 5 საათზე

ლექცია და მიტინგი

თემა: ნახევარი წლის თავი ახალი რევოლიუციონური წყობილებისა რუსეთში. (1—1)

სავალდებულო დადგენილება

თფილისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტისა.

მცხოვრებთა სანოვაგით უზრუნველყოფის, აგრეთვე სანოვაგეზე სპეკულიაციის თავიდან ასაცილებლათ, თფილისის გუბერნიის სასურსათო გამგეობის დადგენილებით, თანახმად დროებითი მთავრობის 20 მარტის დადგენილების მე 13-ტე მუხლისა:

1) აკრძალულია გატანა ყველისა და ერბოსი თფილისის გუბერნიიდან, თფილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტის ნება-დაურთველად.

2) შემოღებულია შემდეგი ნიხრი ყველზე:

ა. ფასი ბითუმათ ადგილობრივ ყველზე ფრანკო გასაგზავნ სადგურზე . . . . 32 მან. ფუთი.

ბ. „ „ შეეცხრულ „ . . . . . . 56 „ „

3) ყველის ქარხნისა და საწყობების პატრონებმა მთელს გუბერნიაში ვალდებულნი არიან ერთი კვირის განმავლობაში წარმოადგინონ გუბერნიის სასურსათო კომიტეტის კანცელარიაში (პეტრე დიდის ქ.) დაწვრილებითი ცნობები ყველის რაოდენობაზე, დამოწმებული ადგილობრივ რაიონულ სასურსათო კომიტეტების მიერ.

4) ყოველივე საიდუმლო ხელშეკრულებანი ყველის შესახებ, მიუხედავათ იმისა, თუ რა დროს იქნება ის დადებული, გაბათილებულად იქნებიან, თუ ის გუბერნიის სასურსათო კომიტეტის მიერ არ იქნება ნებადართული.

5) დამნაშავენი ამ სავალდებულო დადგენილების დარღვევაში დაისჯებიან 29 მუხლის ძალით სისხ. დებ. მომრიგ. მოსამ. (კანონთა კრებ. ტ. 16, გამ. 1914 წლ. რედაქ. ახალი მთავრობის დადგენილებით, 30 მარტი, 1917 წ.) და საქონელი ჩამოერთმევათ.

6) რკინის გზის ადმინისტრაციას, „როსიის“ საზოგადოების“ სატრანსპორტო კანტორებს ევალებათ არ მიიღონ გასაგზავნად აღნიშნული საქონელი, თუ მათ გუბ. სასურსათო კომიტეტის სათანადო ნებართვა არ ექნება.

ეს დადგენილება ძალაში შედის მისი გაზეთებში გამოქვეყნების დღიდან.

თავმჯდომარის მოადგილე: **დანდუროვი.**

(3—2) მდივანი: **[illegible]**

სამტრედიის მომხმ. საზოგად. „დახმარება“-ს გამგეობა იწვევს, კვირას 27 მარიამობისთვეს დილის 11 საათზე რკინ. გზის კლუბში წევრთა

არაჩვეულებრივ საზოგადო კრებას

სხვადა სხვა კითხვების გადასაწყვეტად. ეს კრება მეორეთაა მოწვეული, რომელიც კანონიერად ჩაითვლება. (2—2)

ბინის დამქირავებელთა კავშირი

თფილისში დაიწყო თავის მოქმედება ბინის დამქირავებელთა კავშირმა, რომელიც აერთებს ექსპლოატაციასთან ბრძოლაში დამქირავებელთ, როგორც მთელი ბინისა, ისე ოთახებისა და კუთხეებისა.

კავშირის წევრათ ჩაწერა მიიღება დილის 10-დან შუადღის 2 საათამდე კავშირის დროებით სადგომში, სოლოლაკის და პასკევიჩის ქუჩის კუთხე, ყოფილ საგუბერნიო სამართველოს სახლში, აგრეთვე გამგეობის წევრებთან: რ. რუინოვსკითან სახელმწიფო ბანკში; ი. კრასნოშჩეკოვთან—სტამბა „სლოვო“, გიმნაზიის ქ; პოლიაშჩუკთან—სამხედრო-სამრეწველო კომიტეტში; ს. თარხანოვთან—ნოტარიუს ლუკომსკის კანტორა; კრაველევთან 2 რე კომისარიატის სასურსათო კომიტეტში; ი. ცომახთან—რკ. გზ. სამმართველო; ლ. შეკთან ვარლის უბნის ქ. № 15; გ. იოანისიანთან—ქალაქის საბჭოს კანტორა; ფ. ფილებრანდთან—სახელმწიფო კანტორა ამიერ-კავკ. რკ. გზისა. დ. კორეინ-ველდენიცკთან, ბორჯომის ქ. № 8 ([illegible]). ვინც ფული უკვე შემოიტანა 1 სექტემბრამდე უნდა მოვიდნენ კვიტანციის მისაღებათ გამგეობის სადგომში.

კავშირის დროებითი გამგეობა. (2—2)

კვირას, 27 აგვისტოს, ნაშუადღევის 3 საათზე, პუშკინის სამკითხველოში (ალექსანდროვის ბაღთან) დანიშნულია

საგანგებო კრება

გაზეთის გამყიდავთა პროფესიონალურ კავშირისა.

დღის წესრიგი: 1) ცენტრალურ ბიუროს წარმომადგენლის მოხსენება; 2) ახალი გამგეობის არჩევა; 3) სარევიზიო კომისიის არჩევა და 4) მიმდინარე კითხვები. ვთხოვთ ამხანაგებს ნუ დაიგვიანებენ.

მდივანი: ა. ზ. თელია. (2—2)

რევოლიუციის დღესასწაული.

რუსეთის დიდი რევოლიუციის დღეს ექვსი თვის თავს დღესასწაულობს და რევოლიუციონური დემოკრატია დღეს სრულიად აღნიშნავს ამ დიად დღესასწაულს, ამ დიად გამარჯვებას.

ექვსი თვის წინათ პეტროგრადის მუშათა კლასი და ჯარისკაცების ფარაჯებში გამოწყობილი გაღატაკებული გლეხკაცობა ხელიხელ ჩაკიდებულნი ქუჩებში გამოვიდნენ, ერთმანეთს ძმობა-ერთობა შეფიცეს და შეიარაღებულ მოქმედებით, შეურყეველი იერიშებით დაამსხვრიეს საუკუნოებით შემუშავებული აბსოლიუტური ბიუროკრატიული რეჟიმი.

ექვსი თვის წინათ ეკონომიურათ და პოლიტიკურათ დაჩაგრულმა კლასებმა ძალა მოიკრიბეს, ორგანიზაცია შექმნეს და შეიარაღებულათ შეკავშირდნენ და მრავალ ტანჯული დემოკრატია მონობიდან დაიხსნეს.

მოხდა არაჩვეულებრივი რევოლიუცია და ფართო უფლება მოკლებულ დემოკრატიას უფლება მიენიჭა. გამარჯვებული დემოკრატია პროლეტარიატის მეთაურობით პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ ასპარეზზე სამოქმედოთ გამოვიდა და ყველა დარგში ღირსშესანიშნავი ცვლილება მოახდინა. ხალხის დიდ უმრავლესობას თავისუფლება მიეცა, იგი საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა დარგში ჩაება და ყველგან აქტიური მოქმედება დაიწყო. რევოლიუციის პირველ დღიდანვე მან დაარსა მუდმივი რევოლიუციონური ორგანოები—მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები—შემდეგ ამათ შეუერთდა სრულიად რუსეთის გლეხთა დეპუტატების საბჭო და ამ გზით გაიჭედა რევოლიუციის ჯავშნიანი მუშტი, რომელიც მედგრათ დარაჯობდა და დღესაც დარაჯობს რევოლიუციის ბედს, მის სწორ მიმდინარეობას.

პეტროგრადში მომხდარი ამბავი მთელ რუსეთის იმპერიას ელექტრონის სისწრაფით მოედო და ყველგან ფართო დემოკრატიამ აბსოლიუტური მთავრობის ნაშთები დაანგრია ყველგან ძველი მთავრობის აგენტები და მოსამსახურეები გარეკა და მის მაგიერ დაამყარა ფართო დემოკრატიული მართვა-გამგეობა. ყველა ქალაქში, ყველა დაბა-სოფლებში დაარსდა რევოლიუციონური ორგანოები და მთელი რუსეთის იმპერია დაახლოებულ კავშირებით მოიფინა. ცენტრი პროვინციას გადაება და პროვ. ცენტრს. ამ გზით დამყარდა ძლიერ მოქნილი კავშირი, რომლის დასუსტება ვერ მოახერხა კონტრ-რევოლიუციონერ ბურჟუაზიის და ძველი მემამულეთა და ნაძირალების სხვადასხვა გამოსვლამ.

რუსეთის დიდი რევოლიუცია მოულოდნელი და შემთხვევითი არ ყოფილა, როგორც ამას ბურჟუაზიის იდეოლოგები ფიქრობენ. რევოლიუცია ისტორიული პროცესია, იგი ხანგრძლივ კლასობრივ ბრძოლის შედეგია. რუსეთის ფართო დემოკრატია მთელი საუკუნის განმავლობაში ეკონომიურ და პოლიტიკურ თავისუფლების მოპოვებისათვის იბრძოდა და მან ამ ბრძოლის პროცესში მრავალი ეტაპები განვლო, მრავალი ჭირ ვარამი გადიტანა და თვითეული მისი ისტორიული ნაბიჯი სისხლის აღებით არის აღნიშნული. მაგრამ მისი ამ ნიადაგზე ბრძოლა, რევოლიუციონური კლასების საჯარო გამოსვლა, ობიექტიური პირობების დაუწიფებლობის გამო, მარცხდებოდა და მით საჯარო გამოსვლას დიდი შედეგები არ მოყოლია.

მიუხედავათ რევოლიუციონური კლასების დამარცხებისა—მისი რევოლიუციონური ძალა—როგორც მარქსი იტყოდა, შემდეგში და შემდეგში იზრდებოდა; რევოლიუციონური კლასები ბრძოლის დამარცხების დროს ცოდნა-გამოცდილებას ძენდნენ და ისინი შემდეგისათვის უფრო მეტათ კავშირდებოდნენ და მომავალ ბრძოლისათვის შეგნებულათ გამოდიოდნენ.

ამას ის აუცილებელი გარემოებაც ემატებოდა ზედ, რომ რუსეთის საწარმოვო ძალთა განვითარება რევოლიუციონური კლასების სასარგებლოთ ხდებოდა და მრავლათ იბადებოდა ის ელემენტები, რომლებიც რევოლიუციის მეთაური და წინამძღოლია. რუსეთის საწარმოვო ძალთა განვითარებამ წარმოშობა ძლიერი პროლეტარიატი, კლასობრივათ გათვითცნობიერებული და შეკავშირებული მუშათა კლასი. საწარმოვო ძალთა განვითარებამ წარმოშვა და პოლიტიკურათ დააწინაურა აგრეთვე ბურჟუაზიული კლასები, მსხვილი მრეწველ ვაჭრები, რომლებიც თავისი მხრივ აბსოლიუტურ — ბიუროკრატიულ წყობილების დროის შესაფერათ შეცვლას, პოლიტიკურ რეფორმებს მოითხოვდნენ და აბსოლიუტურ მართველობას ერთ-გვარათ ოპოზიციაში ჩაუდგენ. როგორც სხვა დაწინაურებულ ქვეყნებში რუსეთის, მსხვილმა ბურჟუაზიამ სახელმწიფოს საჭეს ხელში ჩაგდება მიზნათ დაისახა და ამ მიზნის განხორციელებისათვის მან თავისებური ბრძოლა და პოლიტიკა აწარმოვა.

ისტორიის მსვლელობის გამო, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოლიტიკურ ასპარეზზე მონარქიულ მთავრობას ორი მოწინააღმდეგე კლასი—ბურჟუაზია და პროლეტარიატი გამოუჩნდა, ორი ის კლასი, რომლებიც ურთიერთშორის ამავე დროს სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებენ. ორი შეურიგებელი კლასი განსაზღვრულ პოლიტიკური ბრძოლის ეტაპამდის საერთო მტერს ებრძოდნენ და სულის შემხუთველ აბსოლიუტურ-ფეოდალურ რეჟიმის დახშობა უნდოდათ.

აი, ის კვანძი, სადაც იწყობა ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის შეერთება და ამავე დროს მათი გაყრა-გათავისებაც. ბურჟუაზიას ძველი რეჟიმის დახშობა თავისი შეუზღუდველი ბატონობისათვის უნდოდა და პროლეტარიატს კი თავისი დემოკრატიულ ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესების დაკმაყოფილებისათვის. ამ შემთხვევაში ბურჟუაზია ორ ცეცხლ შუა იმყოფებოდა. მას არ მოსწონდა აბსოლიუტური მართველობა, მაგრამ უფრო მეტათ ეშინოდა პროლეტარიატის გაბატონების. მაგრამ იგი, როგორც გამოცალკევებული კლასი იძულებული იყო დროებით, განსაზღვრულ დრომდის პროლეტარიატთან ერთად და მისი დახმარებით სახელმწიფოებრივი ცვლილება მოეხდინა. ბურჟუაზიას საკუთარ ძალღონით პოლიტიკური ცვლილება არ მოუხდენია და იგი მუდამ ნარს პროლეტარიატისა და საზოგადოთ რევოლიუციონურ დემოკრატიის ხელით გლეჯდა. რუსეთშიაც ბურჟუაზიამ ასეთი მისია შეასრულა და ძველი რეჟიმის წინააღმდეგ დროებით ნამდვილ რევოლიუციონურ კლასებთან ერთად გამოვიდა.

მაგრამ მისი რევოლიუციონური კლასებთან სვლა მეტათ ხანმოკლე გამოდგა. თვით რევოლიუციის პირველ დღეებშივე მას თავისებური რყევა შეეტყო და სახელმწიფო დუმის ბურჟუაზიულმა კადეტთა ფრაქციამ, განსაკუთრებით მისმა ზოგიერთ ლიდერებმა, ნიკოლოზ მეორის ნაცვლად მიხეილ ალექსანდრეს ძის ტახტზე დასმა მოინდომეს. ერთი სიტყვით ბურჟუაზიას მხოლოდ ბურჟუაზიული კლასების გაბატონება უნდოდა და იგი მონარქიული კონსტიტუციითაც კი კმაყოფილდებოდა. მხოლოდ სულ სხვას ეტრფოდა მუშათა კლასი და მასთან ერთად ფართო რევოლიუციონური დემოკრატია. რუსეთის პროლეტარიატი და გაღატაკებული გლეხკაცობა წარმოუდგენელ ეკონომიურსა და პოლიტიკურ შევიწროვებას განიცდიდა. ამ გარემოებაში გაძლიერებულ ბურჟუაზიას არა ნაკლები ცოდვა მიუძღვის. საერთაშორისო ომმა ეს უკუღმართობა გააღრმავა, უფრო მეტათ გაამწვავა და ნიადაგი მოუმზადა იმ დიდ რევოლიუციას, რომლის დროშიაც ჩვენ ვცხოვრობთ. ფართო დემოკრატია აჯანყდა, მთელი წყობილება დაანგრია. ბურჟუაზიამ დროთი ისარგებლა და დროებითი მთავრობის ბატონ-პატრონი გახდა. შედგა პირველი კაბინეტი და ეს კაბინეტი ბურჟუაზიული იყო. პირველათ შიგ მხოლოდ ერთი სოციალისტი კერენსკი იყო.

მაგრამ პროლეტარიატმა და საზოგადოთ რევოლიუციონურმა დემოკრატიამ რევოლიუციონური ორგანოები გაიჩინა; მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოები პოლიტიკურ მიმდინარეობის მთავარ მეთვალყურეთ გამოვიდა. მალე ბურჟუაზია ამ ორგანოების რევოლიუციონურ მოქმედებას ველარ შეურიგდა და მან დროებითი მთავრობიდან დეზერტირობა (გაქცევა) დაიწყო. ექვსი თვის განმავლობაში ოთხჯერ შესდგა კაბინეტი, მაგრამ ბურჟუაზია [illegible] [illegible] იგი სრულ ბატონობას ეძიებდა და მას კი ეს რევოლიუციონური ორგანოებმა არ დაანებეს. თვით სამინისტროს კოალიციონური შემადგენლობა არ აკმაყოფილებდა მას და რაც დრო გადიოდა, იგი აშკარა კონტრ-რევოლიუციონურ მოქმედებას იწყებდა. ბოლოს იგი იქამდის მივიდა, რომ რევოლიუციონური ორგანოების გაუქმება მოითხოვა და მით რევოლიუციის დასამარება მიზნათ დაისახა.

მან ამ ექვსი თვის განმავლობაში მრავალი ნაბიჯი გადადგა, მრავალნაირათ შეეცადა რევოლიუციის დაძლევას, მაგრამ ამაოთ. ექვსი თვის განმავლობაში რევოლიუციონურ კლასების ორგანიზაცია, კლასობრივი გათვითცნობიერება გაიზარდა და მას კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზიისა და სხვა ელემენტების იერიშები ვერაფერს აკლებენ, რევოლიუციის გაღრმავება ფართო დემოკრატიის გაერთიანება-შეკავშირებაშია. ამას უნდა ემსახურებოდნენ რევოლიუციონური პარტიები. მართალია, ამ ბოლო დროს მდგომარეობა გართულდა საგარეო და საშინაო კრიზისის გამო კონტრ-რევოლიუციონერები გაძლიერდნენ, მაგრამ იგი საშიში არ იქნება, თუ კი რევოლიუციონური კლასები ფართო დემოკრატიას შეაკავშირებენ და მათ დარაზმავენ. ამ ნიადაგზე იდგნენ დღემდის რევოლიუციონური პარტიები და ამის შემდეგაც ამ პრინციპით იხელმძღვანელებენ. დღეს, ექვსი თვის გამოცდილება ქვაკუთხედათ დაედოს რევოლიუციის გამარჯვებას და მის სამუდამოთ უზრუნველყოფილობას!

დეპეშები.

(პ. ტ. ს.)

(25—26 აგვისტო).

დრ. მთავრობის დადგენილება

პეტროგრადი. დრ. მთავრობამ დაადგინა: ჯარისკაცების და მათი ოჯახების დასახმარებლად სასურსათო დახმარება მიეცეს 25 ივნისის 1912 წ. კანონის თანახმად 1 ენკენისთვიდან ერთი თვით ადრე, როგორც ქალაქებში ისე სოფლებში.

ფრონტზე შექმნილ მდგომარეობის გამო დრ. მთავრობამ გადაწყვიტა მოაწყოს განსაკუთრებული მართველობა პეტროგრადსა ახალი კოლეგიალური ორგანოს სახით, რომელსაც მიენიჭება განსაკუთრებული უფლებები და რომელსაც დაემორჩილება პეტროგრადის ყველა სამოქალაქო ორგანიზაციები. განსაკუთრებულ სამოქალაქო სამმართველომ უნდა გაანთავისუფლოს პეტროგრადი ზედმეტი ელემენტებისაგან და დაიცვას პეტროგრადში წესიერება.

ჩხრეკა.

იალტა. 24 აგვისტო. პირველ ხარისხოვან სასტუმროებში მოულოდნელათ ჩხრეკა მოახ-

საერთაშორისო ომი.

რიგის ფრონტის გარღვევის შემდეგ რუსის ჯარმა საკმარისათ უკან დაიხია და გერმანელებმაც შემოტევის გაგრძობა დროებით შეაჩერეს. ეტყობა მტერი ზურგს იმაგრებს, ძალას იკრებს და შემდეგ შემოტევას განაახლებს.

რუმინიისა და კავკასიის ფრონტზე ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა.

საფრანგეთის ფრონტზე მდ. ენისა და მაასის ნაპირებთან საარტილერიო სროლა გაცხოველდა.

იტალია ავსტრიის ფრონტზე, გორიცის რაიონში ომი გრძელდება. აქ იტალიელებს ავსტრიის 500 ჯარისკაცი და 26 აფიცერი ტყვეთ წამოუყვანიათ.

დინეს. ამას დამოკიდებულება აქვს კონტრრევოლიუციონერთა შეთქმულობის აღმოჩენასთან.

გაფიცვის წინააღმდეგ.

ქიევი. 24 აგვისტო. რკინის გზის სამმართველომ დეპეშა მიიღო მემანქანეთა ბრიგადისა, სად. კაზატინიდან. დეპეშაში გადაჭრით უარყოფილია ამ სერიოზულ მომენტში გაფიცვა.

დრ. მთავრობის მხარის დაჭერა.

პეტროგრადი. 21 აგვისტო (დაგვიანებული) ორი დღის კამათის შემდეგ, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ ცნობილნი წარმომადგენელნი მენშევიკ ინტერნაციონალისტებისა—ს. დ. პ. გაერთიანებულმა ყრილობამ მიიღო წერეთლის რეზოლიუცია, რომელიც საორგანიზაციო კომიტეტის სახელით წარადგინა. რეზოლიუცია საჭიროთ სცნობს მხარი დაუჭიროს დრ. მთავრობას იმ აუცილებელი პირობით, თუ მთავრობა კონტრრევოლიუციის წინააღმდეგ იბრძოლებს.

მოწოდება.

პეტროგრადი 25 აგვისტო. ბალტიის ფლოტის ცენტრალურმა კომიტეტმა მთელ ფლოტს მიმართა შემდეგი მოწოდებით: „ამხანაგებო, მტერი გვიახლოვდება. თვითეული ნაბიჯი მტრისა რევოლიუციის ცენტრისაკენ ტკივილებს იწვევს თავისუფალი ხალხის გულში. ვილჰელმის ჯარებს არ ესმით რუსეთის დემოკრატიის ლოზუნგები. მომავალი საშიშროების წინ ჩვენ უნდა დავივიწყოთ ყოველგვარი უთანხმოება და კერძო ინტერესები. დეე, ჩვენი შეკავშირება მაგალითი იყოს ზურგს უკან მომუშავე ჩვენი ძმებისთვის. ამხანაგებო, დაუმტკიცოთ ქვეყანას, რომ რევოლიუციონური ბალტიის ფლოტი—თავისუფალი რუსეთის დაცვას შეალევს თავის სიცოცხლეს და დაიღუპება, მაგრამ უკან არ დაიხევს გერმანიის იმპერატორის ფლოტის წინ.

მამულის განადგურება.

ტამბოვი. 24 აგვისტო. უმანის მაზრაში, არეულობის დროს გაანადგურეს თავად ვიაზემსკის მამული. თვითონ ვიაზემსკი დააპატიმრეს და გაგზავნეს ფრონტზე, მაგრამ გზაში სად. გრიაზში მოკლეს. არეულობა ვილიამინოვის მამულშიც დაიწყო. მაზრიდან გაგზავნეს ჯარი.

ქალაქის თავის არჩევნები.

ნოვოჩერკასკი. ქალაქის თავათ აირჩიეს ლიტოვი (ს.-დ.) და მის თანაშემწეთ ალექსანდრიანი (ს. რ.)

სართების დეპუტაცია.

პეტროგრადი. 24 აგვისტო. კერენსკიმ მიიღო სართების დეპუტაცია, რომლებიც შუამდგომლობენ, გაუქმებულ იქნას მიწების ყიდვა-გაყიდვის აკრძალვა თურქესტანში. კერენსკიმ უპასუხა: „ეს ზომები ეხება მხოლოდ ცენტრალურ რუსეთს და არ ეხება თურქესტანს. აგრარული რეფორმის გადაწყვეტის დროს თურქესტანი გამოყოფილი იქნება და პირველათ ამ საკითხის შესახებ მსჯელობა გექნებათ თქვენს სამშობლოში, შემდეგ კი გადაწყდება აქ. ადგილობრივი მცხოვრებთა მიწების ჩამორთმევა—სხვა ერების სასარგებლოთ არავის უფიქრია. მე კარგათ ვიცნობ თურქესტანს და მის მცხოვრებთ, მჯერა თქვენი ერთგულება. არ მჯერა ხმები, ვითომც თურქესტანში ემზადებოდენ რუსეთის წინააღმდეგ გამოსასვლელათ, მაგრამ გაფრთხილებთ, თუ ასეთი რამ მოხდა, მიღებული იქნება სასტიკი ზომები. ამ ჟამათ ვიხილავთ თურქესტანის მოწყობის საკითხს. თურქესტანში გაგზავნილი იქნება მთავრობის წარმომადგენელი განსაკუთრებული მინდობილობით. აქ კი იქნება წარმომადგენელი თურქესტანისა“.

ომის დეპეშები.

პეტროგრადი. 25 აგვისტო. რიგის მიმართულებით—ზეგეფოლდის რაიონში ჩვენი მოწინავე რაზმები და მტრის ცხენოსანი ჯარი იბრძვიან. დანარჩენ ფრონტზე ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა.

რუმინიის ფრონტზე მოწინავე რაზმები იბრძვიან და დროგამოშვებითი სროლაა.

კავკასიის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

ბალტიის ზღვაზე 16—23 აგვისტოს განმავლობაში მტერმა რიგის ყურეში თავის ძალებს თავი მოუყარა. გერმანელების „ცეპელინები“ პერნოვის სამხრეთით გამოჩნდენ და გაინაშაში ყუმბარები ჩაყარეს, მაგრამ ყუმბარებს ზიანი არ მიუყენებიათ. 21 აგვისტოს მტრის წყალქვეშა ნავები რიგის ყურეში გამოჩნდენ და რიგასა და პერნოვს შუა ზღვის ნაპირას მდებარე მიდამოებს ყუმბარები დაუშინეს. სოფ. კაბლოკის მათ 40 ყუმბარა ესროლეს, ყუმბარის მსხვერპლათ შეიქნა ორი ქალი. ამავე დღეს მტრის წყალქვეშა ნავმა ჩვენს სატრანსპორტო გემ „ლინელზე“ იერიში მიიტანა და 20 ყუმბარა ესროლა. ჩვენი გემიდან მტრის წყალქვეშა ნავს ზარბაზნებიდან სროლა დაუწყეს და ნავი იძულებული გახდა წყალქვეშ ჩამალულიყო. სატრანსპორტო გემზე ორი კაცი დაიჭრა. უსტ-დვინსკში ჩვენი კანონერკები და ნაღმოსნები უკანასკნელ მომენტამდის დარჩენ და შემდეგ წავიდენ და თან გაიყოლიეს დანარჩენი გემები, რიგის ყურეში მტრის წყალქვეშა ნავების გარდა სხვა გემები არ გამოჩენილან. ჩვენი ფლოტი რიგის ყურეს დარაჯობს და იგი მზათაა მტრის ფლოტს ბრძოლა გაუწიოს.

პარიზი. 24 აგვისტო. სერნის ფრონტზე საარტილერიო სროლა გაცხოველდა. მდ. ენის ჩრდილოეთით სროლაა. შამპანში და მდ. მაასის ორივე ნაპირზე საარტილერიო სროლა გაცხოველდა.

რომი. 25 აგვისტო. გორიცის ჩრდილო-აღმოსავლეთით ბრძოლა გრძელდება ჩვენმა ჯარმა ტყვეთ წამოიყვანა 26 აფიცერი და 500 ჯარისკაცი.

კარსოზე მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

მუშ. და ჯარ. დეპუტატების საბჭოს აღმ. კომიტ. მოწოდება

ამხანაგებო და მოქალაქენო!

27—28 აგვისტოს რუსეთის დიდი რევოლიუციის ნახევარი წლის წლისთავია.

27—28 თებერვალს დაემხო მეფის რეჟიმი და ქვეყანა განთავისუფლდა საუკუნო პოლიციური მონობისაგან. ექვსი თვეა ჩვენ თავისუფალი ხალხის ცხოვრებას ვეწევით და გაცხოველებულ მუშაობას ვაწარმოებთ მცხოვრებთა დემოკრატიულ ნიადაგზე შეკავშირების საქმეში. რევოლიუციის შემქმნელნი—მუშები და ჯარისკაცები, რომლებიც კავშირებში არიან შეკავშირებულნი, განაგრძობენ დაწყებულ საქმეს და მამაცურად იცავენ დემოკრატიისა და რევოლიუციის ინტერესებს.

ექვსი თვეა რევოლიუციას ორი მხრიდან ემუქრებიან: ვილჰელმის ჯარები და კონტრრევოლიუციონერები.

ექვსი თვეა ჩვენ ამ ორ მხარეზე ვეწევით ბრძოლას როგორც გარეშე, ისე შინაური მტრის წინააღმდეგ. რევოლიუციის გამარჯვება, მონობის სამეფოდან თავისუფლებისაში გადასვლა ყველა ქვეყნებში მოითხოვდა დიდ დროს, ხანგრძლივ თავგანწირულ ბრძოლას ხალხის მიერ. ამიტომ არც ჩვენი რევოლიუციის დამთავრება შეიძლებოდა ერთი ხელის დაკვრით. საერთაშორისო ომმა, სამხედრო და სახელმწიფოებრივი მექანიზმების სრულად მოშლამ რევოლიუცია და ის მეტად მძიმე პირობებში ჩააყენა. ახლა რუსეთს მოუხდა ძველი, მეფის რუსეთის წყლულთა განკურნება. ბიუროკრატიის ბატონობის შედეგი ახლა აწვება კისერზე მთელი თავისი სიმძიმით ხალხს და უქადის ისტორიის ჩარხის უკუღმა მობრუნებას, ქვეყანას ანარქიის და დესპოტიზმის უფსკრულში გადაჩეხას. თავისუფალ რუსეთს ამ ჟამად ყოფნა-არყოფნის საკითხი უდგას წინ. და ეს საკითხი მოითხოვს სათანადო გადაჭრას. კონტრ-რევოლიუცია მოდის, ის მოაქვს გერმანიის ხიშტებს, მას ასულდგმულებენ და აწყობენ შინ რეაქციონერები. მხოლოდ სულიერად ამაღლება და რევოლიუციონური და საზოგადოებრივი ძალების შეკავშირებას შეუძლია ქვეყნის განსაცდელისაგან დახსნა.

ამ საშინელ ხანაში მხოლოდ კონტრ-რევოლიუციონერები და რეველ. აშკარა მოღალატენი ეთიშებიან ხალხს. ისინი სამშობლოს ჰყიდიან, ამიტომ ნუ დაინდობთ მათ! ჩვენ მოვუწოდებთ რევოლიუციონურ რუს. ყველა ერთგულ შვილებს დარაზმეთ დაუდგენ რესპუბლიკანურ თავისუფალს რუსეთს და გაშლილი წითელი დროშით რევოლიუციის და დემოკრატიის სრულს გამარჯვებამდე თავთავიანთ ადგილებზე დარჩენ.

ამხანაგებო და მოქალაქენო! დემოკრატიული თავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეს სათავეში უდგას ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა.

მოგიწოდებთ თქვენ ყოველივე საშვალებით მხარი დაუჭიროთ მათ! ხმა მიეცით ცენტრალურ კომიტეტის მოწოდებას და ნახევარი დღის ხელფასი გადადევით რევოლიუციის სასარგებლოთ.

თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

ახალი ამბები

რევოლიუციის დღესასწაული. დღეს, რუსეთის დიდი რევოლიუციის ნახევარი წლის თავის შესრულების გამო თფილისში გაიმართება მთელი რიგი მიტინგებისა. მიტინგები დაიწყება 4 საათზე და გასტანს საღამოს 7 საათამდე. 7 საათის შემდეგ შემოსავლის ნაწილს კინემატოგრაფები, თეატრები, ცირკები და სხ. გადადებენ ცენტრალურ და ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტის სასარგებლოთ. მიტინგები გაიმართება შემდეგ ადგილებში: 1. ნაძალადევში. (ნაძალადევის თეატრი, და სავეტოშნიკოვო სახლოსნო) 2. დიდუბეში. („კორინთი“ პარკი და მუშტაიდის ბაღი). 3. მიხეილის პრ. რაიონში. (ეფიმოვების ცირკი, არტისტიულ საზოგადოების საზაფხულო შენობაში, სახლოსნო კლუბი და ესიკოვების ცირკი) 4. ვერის რაიონში. (ვერის პოლიტიკური კლუბი, ვაქთა მე 6 გიმნაზია). 5. გოლოვინის პრ. რაიონში. (საეტაპო-სატრანსპორტო განყოფილება, სამხედრო ოლქის შტაბი). 6. კუკის რაიონში. (კომერციული სასწავლებელი, მუშათა კომანდა). 7. ავლაბარში. (თეატრი „უზნიკ“, მინგრელსკის პოლკის ყაზარმები თფილისის ყაზარმები). 8) ნავთლუღში. (ეტაპის კომენდანტის მოედანი, პუშკინის სკოლა).

◆ **ქალაქის გამგეობაში.** ქალაქის თვითმართველობაში ყველა ადგილები დაჭერილია, ამიტომ თხოვნების მიღება უკვე შეწყდა.

◆ **თფილისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტში.** 23—24 აგვისტოს მოხდა თფ. საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის წევრთა კრება. კრებას დაესწრო 36 წევრი. განხილულ და დამტკიცებულ იქნა ხარჯთ-აღრიცხვა და მოსამსახურეთა შტატი, რომელიც შეადგება 80 მდე პირისაგან. მიღებულ იქნა პირველი საჭიროების საგნების მტკიცე ფასები, მაგალ. პურზე—6 მან., ქერზე—5 მან., კომბოსტოზე—1 მან. და 80 კაპ. და სხვ. მოსამსახურეებს მოემატა ჯამაგირი დაწესდა მინიმუმი 150 მან. გამგეობის წევრებს, მათ რიცხვში თავმჯდომარესაც დაენიშნა თითოს თვეში ხუთასი მანეთი, ამდენივე დაენიშნა მდივანს. მთელ გუბერნიაში დამტკიცდა 17 სარაიონო სასურსათო კომიტეტი. ბორჯომელების თხოვნა ცალკე სასურსათო კომიტეტის დაარსების შესახებ გადაეცა გამგეობას. გამგეობას დაევალა მოაწყოს სხვათა შორის შაქრის დამზადება. დასასრულ არჩეულ იქნა გამგეობა შვიდი კაცისაგან სამი პრეზიდიუმში და ოთხი წევრი. არჩეულ იქნენ ფარულის კენჭით: თავმჯდომარეთ ს. დანდუროვი, თავმჯდომარის ამხანაგებათ კირილე ნინიძე და ევგენი გარჩია, წევრებათ აგრონომები: დოლიძეშვილი, ფირუმოვი, თევდ. კოკვაძე და აგონსკი.

◆ **პროტესტი გაფიცვის წინააღმდეგ.** მოსკოვის გაფიცვის კომიტეტმა დეპეშით მოუწოდა ორთქლმავალზე მომუშავეებს გამოაცხადონ გაფიცვა, ვინაიდან მათი ეკონომიური მოთხოვნილებები არ დააკმაყოფილეს ამიერ-კავკასიის რკინის გზათა ცენტრალურ კომიტეტმა განიხილა ეს წინადადება და შემდეგი დეპეშით უპასუხა იმავე პირებს: „დეპეშამ აღშფოთება გამოიწვია ამ. კავკ. რკ. გზ. ცენტრალურ კომიტეტის წევრთა შორის. კომიტეტმა დაადგინა დააკავოს ეს დეპეშა და რკინის გზის ლინიებზე დაგზავნოს თავისი წევრები, რომლებმაც უნდა გააცნონ ორთქლმავალზე მომუშავეებს და სხვა მოსამსახურეებს თავის ნებით შემდგარ გაფიცვის კომიტეტის ფიზიონომია და მოუწოდონ მათ, არ გაიფიცონ, ვინაიდან დღეს გაფიცვა შეიძლება ქვეყნისა და რევოლიუციის დამღუპველი გამოდგეს.

◆ **ბინის საბჭოს** თავმჯდომარეთ დაინიშნა ამხ. ჰ. აზატიანი.

◆ **გორის ქალაქის თავი.** როგორც დეპეშით გვატყობინებენ, გორის ქალაქის თავათ აურჩევიათ ს. რობაქიძე, საბჭოს თავმჯდომარეთ—დ. ონიშვილი, საბჭოს მდივნათ—ვარდონიანცი, ქალაქის გამგეობის წევრებათ; ციციანოვი, კაპანაძე, ჯავახოვი, ყველა არჩეული პირება სოციალ-დემოკრატებია.

ყრილობა. 29 აგვისტოს სოფ. კობიჩელსკის ახლოს მოხდება ყრილობა ზაქათალის ოლქის, სიღნაღის მაზრისა და დაღესტანის ოლქის ნაწილის მცხოვრებთა წარმომადგენლებისა. ყრილობის დღის წესრიგი ასეთია: 1) კეთილმეზობლურ განწყობილებისა, ძმობისა და მეგობრობის განმტკიცება მუსულმანებს, ქართველებსა და სხვა ეროვნებათა შორის, რომლებიც მოსახლეობენ დაღესტანში, ზაქათალის ოლქში და სიღნაღის მაზრაში; 2) სასტიკი ზომების მიღება ბნელ ძალებს, პროვოკატორებსა და საზოგადოების ნაძირალთა წინააღმდეგ, რომლებიც ეროვნებათა შორის სთესავენ შუღლსა და მტრობას, რომ ამით გამოიწვიონ არევ-დარევა რევოლიუციონურ დემოკრატიაში და ნიადაგი მოუმზადონ კონტრრევოლიუციონურ გამოსვლებს, 3) ზომების მიღება ამ ბოლო დროს გახშირებულ ავაზაკობის, ძარცვა-გლეჯის, მკვლელობის, საქონლის გატაცების და სხ. წინააღმდეგ, რაც არღვევს მშრომელ კლასთა ცხოვრების მშვიდობიან მიმდინარეობას, 4) ყრილობაზე მუდმივი კომისიის (მომრიგებელი კამერის) არჩევა საგამომძიებლო და რევოლიუციონურ-სამილიციო ფუნქციებით, 5) კანტორის დაწესება კომისიის პრეზიდიუმის სამუშაოთ, 6) ინტერნაციონალურ სამილიციო სადგომის დაარსება ზაქათალის, დაღესტანის ოლქის და სიღნაღის მაზრის მილიციონერებისაგან, 7) კომისიისათვის ინსტრუქციის შემუშავება. თითო სოფელი ირჩევს ორ წარმომადგენელს გადაწყვეტილი ხმით.

◆ **ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების** სავაჭრო სკოლა-სახელოსნოში (ხარფუხი, სურ. სარქისის ქ. № 48) მოწაფეთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდან.

◆ **შემოწირულება.** მუშათა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის სასარგებლოთ შემოწირეს: კავკასიის ბანკმა—2000 მ., აზოვ-დონის ბანკის თფილისის განყოფილებამ—500 მ., პეტროგრადის საერთაშორისო კომერც. ბანკის თფ. განყ.—500 მ., თფ. სადაგილ-მამულო ბანკმა—200 მ., თფ. სავაჭრო ბანკმა—500 მ., ვოლგა-კამის კომერციული ბანკის თფ. განყ.—500 მ., ძმ. სეილანოვებმა—1000 მ., სავაჭრო სახ. აფრიკიანისა—1000 მ., თფ. საურთიერთო დამხმარე საზოგადოებამ 200 მ., ფირმა „ვისოცკი და ამხ.“—500 მ., ფირმა პუგინოვისა და ალ. ხ ნოვიკა—500 მ., სასტ. „ორიანტ“-მა — 200 მ., სასტ. „პალას ოტელ“-მა—200 მ., სასტ. „კავკაზ“-მა—100 მ., ჩაის სავაჭრო „ძმ. პოპოვები“ 200 მ., ფირმა „ზედგინიძე“ 400 მ., სასტ. „ჰოტელ ნოე“—250 მ., ამხ. „დ. ზ. სარაჯევი“—500 მ., სას. „გრანდ ჰოტელი“—100 მ.,

◆ **მკვლელობა.** 24 აგვისტოს, საღამოს 11 საათზე მე 205 ფეთის პოლკის პორუჩიკი ტიმოფეევი მივიდა ოლღა სტოიანოვასთან საკუთარ სახლში და სთხოვა მის დას ა. ზოლატარიოვისას მოეყვანა მარო იაგუნაშვილი. როცა იაგუნაშვილის ქალი მივიდა სტოიანოვასთან, ტიმოფეევმა მას დაუწყო ხვეწნა გაყოლოდა ცოლათ, ვინაიდან უწინდელ ცოლთან განქორწინების საქმე უკვე დასრულდაო. მ. იაგუნაშვილმა უარით უპასუხა, მიუხედავათ იმისა, რომ დედ-მამა ურჩევდა გაყოლოდა ცოლად ტიმოფეევს. ტიმოფეევმა მოულოდნელად ამოიღო რევოლვერი და იქვე მოკლა მარო იაგუნაშვილი, თვითონ კი თავის ნებით გამოცხადდა კომენდანტთან.

◆ **სახელმძღვანელო წიგნები.** თფილისის ქართველ მასწავლებლებმა მოაწყვეს ორგანიზაცია, რომლის მიზანია სახელმძღვანელოებისა და საბავშვო—სახალხო წიგნების ქართულ ენაზე გადმოთარგმნა—შედგენა. წიგნების გამოცემა იკისრა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ.

◆ **ქალთა სამხატვრო სახელოსნო სასწავლებელში** (ხარფუხი, სურ.-სარქისის ქ. № 48) სწავლა და მოწაფეთა მიღება დაიწყება 1 სექტემბერში.

კრებები და მიტინგები.

ხვალ საღამოს 9 საათზე, ძველი სემინარიის შენობაში (პუშკინის ქუჩა) დანიშნულია ფარმაცევტთა კრება. დღიური წესრიგი: 1) ეკონომიური მოთხოვნილების შემუშავება, 2) გაერთიანება ფარმაცევტთა ორგანიზაციებისა.

— დღეს, 27 აგვისტოს დილის 10 საათზე სახ. სახლში დანიშნულია მომხ. სახ. „აღორძინების“ წლიური საზოგადო კრება.

პროვინციის ქრონიკა.

ქართლი. ქართლში საქონლის ჭირი გაჩნდა. საქონელი ბლომათ იხოცება; მთელს ქართლში ორიოდ საქონლის ექიმია და ფერშალი, მაგრამ მათი მუშაობა იმდენათ უნაყოფოა და მცირე, რომ ეს საშინელი ავადმყოფობა არამც თუ არ ცხრება, არამედ უფრო და უფრო ვრცელდება და გაჭირვებულ ხალხს მუშა საქონელს ხელიდან აცლის. საჭიროა ჩქარი და რადიკალური ზომები.

გამაერთიანებელი ყრილობა რუს. ს.-დ. მუშ. პარტიისა.

ყრილობა გაიხსნა პეტროგრადში 19 აგვისტოს. ის გახსნა ყრილობის მომწვევი ცენტრალურ კომისიის სახელით ვ. ნ. კროხმალმა. მისასალმებელ სიტყვაში მან აღნიშნა, რომ რევოლიუციამ დაანგრია ძველი წყობილების სიმაგრეები და მუშათა კლასს შეეძლება მიეცა ბრძოლა ფართოდ აწარმოვოს, მაგრამ რევოლიუცია დაქსაქსული აღმოჩნდა. მუშათა კლასის ორგანიზაციების გამაგრებას და ფართო პოლიტიკური პარტიის შექმნის საჭიროებას ყველა გრძნობდა რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე. პირველ დღიდანვე ადგილობრივი მუშაკები ცდილობდენ რევოლიუციონური ფრონტის გაერთიანებას. მისწრაფება გაერთიანებისადმი აშკარა გახდა მაისში შემდგარ პარტიულ კონფერენციაზე, სადაც გადაწყდა სოც.-დემოკრატიული ორგანიზაციების ყრილობის მოწვევა. ჩვენი ბრალი არ არის, რომ ამ ყრილობას არ დაესწრენ პარტიის ყველა ნაწილები. შემდეგ მან ყრილობას წარუდგინა ცენტრალური კომისიის მიერ შემუშავებული დღის წესრიგი და იმედი გამოსთქვა, რომ ჯგუფურ თუ ფრაქციულ ნაშთებს დაუსძლევთ და ეს ყრილობა პროლეტარიატის მოძრაობის ახალ ფურცლებს გადაშლისო.

ცენტრალური კომისიის წინადადებით პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: არსენიევი, კროხმალი, წერეთელი, სემკოვსკი, ხინჩუკი, სტროევი და ვაინშტეინი. საპატიო წევრებათ: ჩხეიძე და აქსელროდი. დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ ერთმა წევრმა წინადადება შეიტანა, რათა ყრილობა შეერთებოდა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მიერ სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ გამოტანილ რეზოლიუციას. წერეთელი წინააღმდეგი იყო ასეთი წინადადებისა, ვინაიდან უკამათოდ რეზოლიუციის მიღება შეუძლებელიაო. მისი აზრით პარტია, რომელიც პირველად მართავს ასეთ ყრილობას მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯის შემდეგ, იმ მთავრობის, რომელშიაც იმყოფებიან ამ პარტიის წევრებიც, არ შეუძლია სხვა ორგანიზაციას გადაწყვეტილებას შეუერთდეს საკითხის გაურჩევლად, თუნდაც ეს ორგანიზაცია პარტიის მონათესავე ორგანიზაცია იყოსო. საკითხი უნდა გაირჩეს მთელი თავისი სიგრძე სიგანით, მთავრობის საერთო პოლიტიკასთან დაკავშირებულად და არა ნაუცბათევადო. მარტოვი შეუერთდა წერეთლის აზრს. მისი აზრით, იმაში კი არ არის საქმე, რომ ყრილობამ პრინციპიალურად შეეხოს სიკვდილით დასჯის საკითხს, როგორიც სისხლის სამართლის ინსტიტუტს, არამედ,—იმაში, რომ ყრილობა შეუერთდეს მუშათა დეპუტატების საბჭოს პროტესტს იმის შემდეგ, რაც მთელი რიგი პროვინციალური საბჭოებისა ამავე აზრს შეუერთდენ. არის ისეთი საკითხები, დაუმატა მან, რომლებიც ფრაქციულ აზრთა სხვაობას არ იწვევენ. წერეთლის წინადადება მიიღო 81 ხმამ წინააღმდეგ 65-ისა, 12 თავი შეიკავა.

ამის შემდეგ დაიწყო მილოცვები. ამხ. ლინდოვი მიესალმა გაერთიანებულ ყრილობის მომწვევი ბიუროს სახელით და გამოსთქვა იმედი, რომ შექმნილი იქნება მთლიანი პარტია, და რომ პარტიას შემოუერთდებიან სოციალ-დემოკრატიული ის ორგანიზაციები, რომლებიც დღემდე პარტიის გარეშე არიან დარჩენილნი.

ამხ. კონი მიესალმა პოლონეთის სოციალისტური პარტიის სახელით. მან სთქვა: პოლონეთის პროლეტარიატი ამ ჟამად დაქსაქსულია და არც შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ყრილობის შემოქმედებითი მუშაობაში, მაგრამ მე მაინც მოგესალმებით არა მარტო ამ ერთი მუჭა მუშაკების სახელით,—არამედ—იმათი სახელითაც, რომლებიც გერმანიის ძალ-მომრეობით წვალობენ. პოლონელების სოციალისტური პარტია მუდამ მოქმედებდა ყველა ქვეყნების პროლეტართა კავშირის ინტერნაციონალურ ნიადაგზე. კლასიურ ბრძოლის ნიადაგზე პროლეტარიატი აღმართავს სამშვიდობო ბრძოლის დროშას. ყრილობამ ამ ბრძოლას ძალუმი მუხლუგუნი უნდა წაჰკრას, რათა ამ ბრძოლის ალით აენთოს ყველა ქვეყნათა პროლეტარიატი. ა. ა. ისაევი მიესალმა იმ სოციალისტების სახელით, რომლებიც მუნიციპალურ დაწესებულებებში მუშაობენ. მუნიციპალურ საქმეებშიო, სთქვა მან, ფრაქციულ უთანხმოებას ადგილი არ ექნებაო. ანინი ებრაელთა გაერთიანებულ სოციალისტურ პარტიის სახელით მიესალმა. რუსეთში მცხოვრებ სხვადასხვა ერთა განთავისუფლების საკითხი ერთი უმთავრესი საკითხთაგანია, რომელიც რევოლიუციას წინ უდგას, სთქვა მან. ის მიესალმა ყრილობას როგორც დაჩაგრული ერის წარმომადგენელი და იმედი გამოსთქვა, რომ განთავისუფლებისათვის ბრძოლა რუსეთის ინტერნაციონალს მოგვცემსო. ა. ი. ჩხენკელი მიესალმა ყრილობას ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის სახელით. ჩვენ მოვედით იმ დროშით, რომელსაც აწერია: „მთლიანი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია“—სთქვა მან. ჩვენს პარტიას დიდი საპასუხისმგებლო მოვალეობა აწევს, განსაკუთრებით ახლა, როცა კონტრ-რევოლიუციამ თავი წამოყო. ჩვენი მოვალეობაა მთელი ძალღონით ხელი შევუწყოთ პარტიის გაერთიანებასო. ბუნდის სახელით მიესალმა მ. ი. ლიბერი. მან სთქვა: ბუნდი პარტიის ორგანიული ნაწილია; ყველა იმ უთანხმოებათ, რომლებიც პარტიას ღრღნიან, ბუნდშიაც აქვთ ადგილი, მაგრამ ეს უთანხმოებანი იქ ორგანიზაციული ბრძოლის ხასიათს არ ღებულობენ. არის აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ გადაწყვეტილებანი მთლიან ორგანიზაციას მოჰყავს სისრულეში. მთელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას შეეძლო ამათი გამოცდილებით ეხელმძღვანელა და ასეთ საპასუხისმგებლო ხანაში მას შეეძლო გაერთიანებაო. შემდეგ ლატიშთა სოც.-დემ. სახელით მიესალმა ამხ. რუდევიჩი და ამერიკის სოციალისტური მუშათა პარტიის—რეინშტეინი. მან აღნიშნა, რომ შემდეგში არა თუ რუსეთის რევოლიუციის ბედი, არამედ—ზავისათვის ინტერნაციონალური ბრძოლა იმაზეა დამოკიდებული—შესძლებს თუ არა ს.-დ. მუშათა კლასის გაერთიანებას რუსეთშიო. მეოთხე დუმის სოც.-დემოკრატიული ფრაქციის სახელით მიესალმა მ. ი. სკობელევი. მან სთქვა: როცა 1905 წელში რევოლიუციის ტალღა ძირს დაეშვა, სოც.-დემ. პარტიას ისევ ფარულათ მუშაობის წარმოება მოუხდა, ცხოვრების ზედაპირზე ანუ გამოჩენილათ დარჩა მხოლოდ მისი პატარა რაზმი—სახელმწიფო დუმის ფრაქცია. მიუხედავათ რეაქციის შავბნელ დღეებისა, ფრაქციამ ღირსეულათ ატარა თავისი დროშა და ახლა ამ ფრაქციის სახელით მივესალმები მასსიური მოძრაობის ფართო გზაზე სამოღვაწეოთ გამოსულ სოციალ-დემოკრატიას. იმ დროს, როცა რევოლიუციამ იფეთქა, პარტია დაქსაქსული იყო. ბევრ ჩვენგანს მძიმე და პასუხაგები მოვალეობა დააწვა,—გვიხდებოდა საკუთარი მოსაზრებით მოქმედება იმ დროს, როცა საპასუხისმგებლო როლში ვიყავით—მხოლოდ ხანდახან გვეძლეოდა საშვალება ყური დაგვეგდო ს. დ. ორგანიზაციის აზრისთვის. როდესაც რევოლიუციას საფრთხე გაუჩნდა, საკითხი დადგა მთავრობაში შესვლის შესახებ, პარტიული დაწესებულებებთან შეთანხმებით ჩვენ თავის თავზე ავიღეთ ფორმალური პასუხისმგებლობა ქვეყნის ბედ-იღბლისა და შევედით მთავრობის შემადგენლობაში. ახლა კი, ამ ყრილობაზე, სადაც შეკრებილან პარტიის ყველა ცოცხალი ძალები, ჩვენ გვსურს დავსვათ კითხვა პირდაპირ—გაითვალისწინებს რა პარტია რევოლიუციის ყველა საფეხურებს, დღეს გადაჭრით სთქვას მან, რასაც ფიქრობს ის მისი წევრების მთავრობაში მონაწილეობის შესახებ. ახლა, როცა დემოკრატიას უხდება შეტევიდან თავდაცვაზე გადასვლა, ეს საკითხი მეტათ მწვავეთ სდგას. საქმისადმი ინტერესით მოპყრობა და მუშაობა მხოლოდ მაშინ არის

შესაძლებელი, როცა საქმესთან გარკვეული დამოკიდებულება აქვს შეუმზადებელი პარტიას. დაბოლოს მან სთქვა: იმედი მაქვს, რომ ყრილობის შემდეგ პარტია სამუშაოდ ერთ ფრონტს შექმნის ისე, როგორც ეს შექმნა რევოლიუციონურმა დემოკრატიამ ქვეყნის გადასახალისებელ მუშაობის დაწყების წინა.

მისალმებათა ვათავების შემდეგ ყრილობა შეუდგა დღის წესრიგის გარჩევას. პირველ საკითხის—„ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა და მუშათა კლასის მიზნების“-ს შესახებ მომხსენებლათ გამოვიდა ი. გ. წერეთელი. მან სთქვა: მეტათ მძიმე პირობებში უხდება პროლეტარიატს და მის პარტიას რუსეთის ძირითადი გარდაქმნა დემოკრატიულ საფუძველზე. რუსეთის რევოლიუცია მოხდა ომის დროს. ესაა მთელი მისი სიმძიმე მონაპოვართა დამკვიდრების საქმეში. პირველი ამოცანა, რომელიც პროლეტარიატს დაუდგა წინ გადასაწყვეტათ—ეს იყო მთელი ძალ-ღონის მოკრეფა, რომ ომი გაეთავებია ისე, როგორც ამას მოითხოვდა ქვეყნის დემოკრატიისა და პროლეტარიატის ცხოველ-მყოფელი ინტერესები. რევოლიუციას წინ დაუდგა საერთაშორისო ხასიათის საკითხი, რომელსაც მარტო რუსეთის რევოლიუციის ძალ-ღონე ვერ გადასჭრის. ამასთან ერთად, ომის მიზეზით გამოწვეული ქვეყნის დანგრევა მოითხოვდა შინაური მოწყობის საქმეში უდიდეს ძალის გამოჩენას, რევოლიუციონური კლასთაგან უდიდეს მსხვერპლის გაღებას. იმის შესაძლებლობა კი, რომ რამდენიმეთ მაინც გაუმჯობესებულიყო მშრომელ კლასთა ნივთიერ კეთილდღეობა შეუძლებელი გახდა. მცხოვრებთა ყველა წრეებზე რევოლიუციის სიმძიმეთა თანასწორად განაწილება, რომ შეადგენდა ის ძალა-სიმაგრე, რომელიც დემოკრატიას შეძლებას მისცემდა რევოლიუცია ბოლომდე მიეყვანა. ამას გარდა პროლეტარიატს და სოც.-დემ. ერთი საძნელო საქმე კიდევ ედგა წინ. დემოკრატიულ რევოლიუციაში, არსებითად კი—ბურჟუაზიულში მთავარ მამოძრავებელ ძალებათ იყვნენ მშრომელი კლასები, მაგრამ მიუხედავათ ამ სიძნელისა, მაინც იყო იმედი, რომ ბრძოლას წარმატებით მივიყვანდით ბოლომდე. ომთან დამოკიდებულების საკითხმა დემოკრატია ყველა ქვეყნებში გათიშა. ჩვენში კი მომწიფდა პირობები ომის საკითხში დემოკრატიის და ბურჟუაზიის ზოგიერთი წრეების გაერთიანების შესახებ. ომის შეწყვეტა სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხათ იქცა მთელ ქვეყნისათვის. ეს გარემოება გვიკარნახებდა ჩვენ ბრძოლის მეთოდებს. იმ რევოლიუციონურ ორგანიზაციებში, რომლებიც დემოკრატიული მოძრაობის დასაყრდნობ პუნქტებათ გახდენ, პროლეტარიატის მოწინავე ნაწილს ეკუთვნის გადამწყვეტი სიტყვა. არ შეიძლება კედელი გავავლოთ პროლეტარიატისა და ამ ორგანიზაციების ტაქტიკის შორის. პროლეტარიატი რევოლიუციის ცენტრში უნდა მოქცეულიყო. ნაციონალური მთავრობის შედგენაში რომ პროლეტარიატს მონაწილეობა არ მიეღო, ის არ შესდგებოდა. კოალიციის შედგენამდეც ამ მთავრობას არსებობა შეეძლო, უკეთუ ის დემოკრატიული ორგანიზაციების დასტურს მიიღებდა. რომ მიმართულება მისცემოდა რუსეთის რევოლიუციას, თავიდანვე საჭირო იყო ომის საკითხთან დამოკიდებულების გარკვევა. დემოკრატიასთან მჭიდრო კავშირში პროლეტარიატმა წამოაყენა ისეთი პლატფორმა, რომელიც გახდა საერთო ნაციონალური. აქ მოხდა ბურჟუაზიის იმ ნაწილის ჩამოშორება, რომელსაც არ შეეძლო მიეღო რევოლიუციის მიზან-დანიშნულებანი. გაჩნდა მთავრობის პირველი კრიზისი. სწორედ აქ იჩინა თავი რუსეთის განსაკუთრებულმა სახემ: ბურჟუაზიის წრიდან არ შეიძლებოდა ისეთი მთავრობის შედგენა, რომელიც შეკავშირებული იქნებოდა ყველა დემოკრატიულ მოძრაობასთან და განახორციელებდა საერთო ნაციონალურ მიზნებს.

პროლეტარიატს ასე დაუდგა საკითხი: დატოვებია მთავრობა ბურჟუაზიის ხელში, რომელიც რევოლიუციონური დემოკრატიის ორგანოებთან უთანხმოებას ჩამოაგდებდა, ან და შექმნა ახალი მთავრობა, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიეღო პროლეტარიატის წარმომადგენლებსაც. ჩვენ ყოველივე ძალ-ღონე ვიხმარეთ, რომ შეგვექმნა რადიკალურ-დემოკრატიული მთავრობა, მასში პროლეტარიატის მონაწილეობის მიუღებლათ, მაგრამ არც გლეხობა, არც წვრილი ბურჟუაზია ერ აღმოჩნდენ იმდენათ ძლიერნი, რომ მუშების მონაწილეობის მიუღებლათ მთავრობა შეედგინათ. ამიტომ მუშათა კლასს მოუხდა თავის თავზე მიეღო ფორმალური პასუხის მგებლობა მთავრობის შედგენის საქმეში. მაგრამ ამ მთავრობას არ შეეძლო შემოქმედებითი მუშაობის წარმოება იმ საზომით, რასაც ობიექტიური პირობები ითხოვდენ. სიძნელე აღმოჩნდა არა მარტო ბურჟუაზიულ წრეების სულიერ განწყობილებაში, არამედ—დემოკრატიაშიაც. პროლეტარიატის, გლეხობის და ჯარის შეგნებასთან ერთად საერთო მოძრაობის და მისი მიზნების შესახებ, გაჩნდა ანარქისტული მიდრეკილებანი, რომელნიც ძველმა წესწყობილებამ აღზარდა და ახლა ასულდგმულებს ის დემორალიზაცია, რომელიც ცხოვრებაში ომმა შეიტანა. ჩვენი პლატფორმის გარშემო ყველა მშრომელნი ვერ შევაკავშირეთ. მუდმივი შეტაკებანი დაბრკოლებებს უჩენდენ მთავრობას, რომელიც რევოლიუციონური იყო შემადგენლობით და დემოკრატიული პროგრამით. ბრძოლამ უმაღლეს წერტილამდე 3—5 ივლისს მიაღწია. პროლეტარიატის და ჯარის ნაწილთა ანარქისტულმა გამოსვლებმა უთანხმოება ჩამოაგდო ამ ნაწილებსა და დანარჩენ დემოკრატიას შორის. აჯანყების დამარცხებასთან ერთად რევოლიუცია მეორე რიგში მოექცა და თუ წინეთ კონტრ რევოლიუციონერები გამოჩენას ვერ ბედავდენ—3 ივლისის შემდეგ კონტრ რევოლიუცია რეალური საშიშროება გახდა. სიკვდილ სიცოცხლის საკითხათ გახდა ისეთი მთავრობის შედგენა, რომელიც კონტრ-რევოლიუციას შესაფერ პასუხს გასცემდა და იმ ამბების, განმეორება, რომელთაც 3 ივლისს ადგილი ჰქონდა არ იქნებოდა შემდეგში შესაძლებელი. 3 ივლისის შემდეგ მოსკოვის თათბირზე შეეცადენ ყველა მშრომელთა ელემენტების რევოლიუციონური ფრონტის გაერთიანებას. მუშათა კლასის განცალკევებას დანარჩენ დემოკრატიისაგან, რომლის საშიშროებას ადგილი ჰქონდა მოსკოვის თათბირზე, ბოლო მოეღო. მიღებულ იქნა საერთო პლატფორმა, მუშათა კლასის მოწინავე ნაწილის მიერ შემუშავებული, რამაც საშუალება მისცა მუშათა კლასს მოწინავის როლი შეენახა. ეს პლატფორმა ერთად ერთი საზომი უნდა იყოს ჩვენი მთავრობასთან და სხვადასხვა წრეებთან დამოკიდებულების დაჭერის დროს. არსებული კოალიცია ერთად ერთი კომბინაციაა, რომელსაც შეუძლია დაიცვას ძალთა მთლიანობა, მაგრამ ჩვენ უარვყოფთ მას, როცა მას არ შეეძლება დემოკრატიული პროგრამის განხორციელება.

შემდეგ წერეთელი ეხება დემოკრატიული ორგანიზაციების როლს. ყველას გვესმის, რომ ეს ორგანიზაციები მაშინ დაჰკარგავენ ძალას, როცა მოხდება რევოლიუციონურ ძალთა ჩამოყალიბება, მაგრამ ჯერ ჯერობით ეს ორგანიზაციები ის ადგილებია, საიდანაც სიჭიროების დროს შესაძლებელი იქნება ბრძოლის გაჩაღება. თუ ეს ორგანიზაციები დასუსტდებიან, მაშინ მთავრობისთვის მხარის დაჭერა შეუძლებელი იქნება. ეკონომიური რეფორმის საკითხი სწვავეთ სდგას. დღემდე მთავრობის შემოქმედებითი მუშაობას ამ სფეროში ობიექტიური პირობები ეღობებოდენ წინ. ახლა კი ისეთი მომენტი დადგა, რომ დაგვიანება ამ საქმეში რევოლიუციის გამაგრების შეფერხება იქნებოდა.

შემდეგ ის შეეხო რეპრესიებს. რევოლიუციამ უნდა დაიცვას თავის ძალთა მთლიანობა. დადგა ტერორისტულ პოლიტიკის წარმოების მომენტი, რათა თავიდან აცილებულ იქნას სამოქალაქო ომი და ფრონტზე ჯარების გახრწნა. ამ შემთხვევაში დემოკრატიამ და პროლეტარიატმა ასეთი კატეგორიული ხასიათის მოთხოვნა უნდა წაუყენოს მთავრობას. თავისი მოქმედება მთავრობას მაშინ შეეძლება გაამართლოს, უკეთუ ის რევოლიუციის დახსნის მიზნით არის გამოწვეული. დღემდე რევოლიუციონური მთავრობის მოქმედებაში ასეთი გარანტიას ადგილი არ ჰქონია. დღემდე მას არ ჰქონებია დასაყრდნობი ადგილი რევოლიუციონურათ შეკავშირებულ ელემენტებში.

მოსკოვში პირველად დაუპირდაპირდა დემოკრატიულ რუსეთს ცენზიანი რუსეთი. პირველად გამოცხადდა დახსნის ფორმულა. ამ ფორმულას იცავს დემოკრატიის შეკავშირებული ძალები.

პარტიის წევრთა მთავრობაში ყოფნა აუცილებელია, უკეთუ მათ საშუალება ექნებათ განახორციელონ საერთო პლატფორმა, რომელიც წამოყენებული და მიღებულია ქვეყნის უდიდესი ნაწილის მიერ, უკეთუ მთავრობა შეეცდება რევოლიუციის შემოქმედებით მიზნების განხორციელებას და თუ რევოლიუციის გამხრწნელ მოვლენებს რევოლიუციონური ბრძოლის მეთოდით გაუწევს ბრძოლას. ასეთ პირობებში მთავრობას უნდა დაუჭიროთ მხარი.

სოციალ-დემოკრატიის მიზანი მარტო იმაში კი არ მდგომარეობს, რომ საკუთარი კლასისთვის არსებობის საუკეთესო პირობები შექმნას, მაგრამ იმაშიც, რომ თავისივე კლასის წრეებში შეურყევლათ წავიდეს ანარქიის წინააღმდეგ და აამაღლოს ეს კლასი თავისი მიზნების სწორად შეგნებამდე. დღიდან გაჩენისა მენშევიზმი ამ გზით მიდიოდა. როცა საშიში სულიერი განწყობილება ფეხს იკიდებს, როცა მუშათა კლასის ერთი ნაწილის მოუფიქრებელ ნაბიჯს შეუძლია ზარალი მოუტანოს საერთო საქმეს, სოციალ-დემოკრატიის ერთი უდიდესი მიზანთაგანია საკუთარ წრეებში ანარქიასთან ბრძოლა რევოლიუციისა და კლასიურ მოძრაობის შეგნებულათ გაერთიანებისათვის.

უცხოეთი.

სტოკჰოლმის კონფერენცია. სტოკჰოლმში არსებობს პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა საინფორმაციო ბიურო, რომელიც სცემს საკუთარ ორგანოს —„უწყებებს“. ამ უწყებების დანიშნულებაა გააშუქოს რუსეთისთვის დასავლეთ ევროპის ცხოვრება. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ის, თუ რა აზრისანი არიან ზავის შესახებ სოციალისტური პარტიები, როგორ მოქმედებენ ამ ნიადაგზე ისინი და სხვ. „უწყებათა“ პირველ ნომერში სარედაქციო წერილში სწერენ: დღევანდელი ვითარების ერთი უძნელესი მდგომარეობა იმაში გამოიხატება, რომ რუსეთისა და საზღვარ-გარეთის საზოგადოებრივი აზრები გათიშულნი არიან. არასოდეს არ ყოფილან სხვადასხვა სახელმწიფონი ურთიერთ შორის დამოკიდებულობით ისე დაინტერესებულნი, როგორც ახლა, მაგრამ არასოდეს არ ყოფილან, სამაგიეროთ ასე გათიშულნი. რუსი მკითხველი სავსებით მოწყვეტილი დარჩა გარეშე ქვეყანათა ცხოვრებისაგან. მას მხოლოდ სააგენტოს ცალმხრივი ცნობებით აკმაყოფილებდენ. ეს სააგენტოები კი, ხშირათ წინასწარი განზრახული მიზნით ავრცელებენ ყალბ ცნობებს. მათ შეუძლიათ სიმართლე ილაპარაკონ მხოლოდ ვიწრო ნაციონალურ ან კლასიურ ბურჟუაზიულ ფარგლებში.

სრულიად წინააღმდეგ მიზანს ისახავს „უწყებანი“. ის შეებრძოლება იმ დაბრკოლებებს, რომელნიც რუსეთს აშორებენ სხვა კულტურულ ქვეყნებს. ის ეცდება სრულის მიუდგომლობით გაარკვიოს ომის საწინააღმდეგო ბრძოლის წარმოების ამბავი, როგორც ევროპაში, ისე ამერიკაში. აღნიშნავს მუშათა მოძრაობას იმ ქვეყნებში, სადაც ეს მოძრაობა ომს ჯერ-ჯერობით ვერ ჩაუხრჩვია. ეცდება დაანახოს მკითხველებს პოლიტიკურ პარტიათა ბრძოლის სურათი, რომელიც გაჩაღებულია სტოკჰოლმის კონფერენციის გარშემო.

მეორე წერილში ის არკვევს საკითხს, იქნება თუ არა საჭირო ზამთრის კამპანია, თუ ახლო მომავალში ომი შეწყდება. ამ საკითხის შესახებ „უწყებები“ სწერს: რუსეთის რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ ყველა იმ იმედს შეიპყრო, რომ ამ სისხლის ღვრას ადრე მოეღება ბოლო. არც ერთი დროშით არ შეუძლია ამ ჟამად გამოსვლა ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიას, თუ მის დროშას ზავის სამსახური არ დაუსახავს მიზნად, ყველას ზავი სწყურია, მაგრამ ამავე დროს გამორკვეულია, თუ როგორი სუსტი ყოფილა დემოკრატია თავისი ძალებით, რა ნაირად დაქსაქსული ყოფილა ის. „უწყების“ თქმით იმ დროს, როცა რუსეთის რევოლიუცია უმაღლეს წერტილამდე იყო ასული, კონფერენციაზე მონაწილეობის მომხრენი იყვნენ გერმანელი სოციალისტები, და თითქოს წინააღმდეგი იყვნენ ფრანგები. ახლა კი ნემეცთა არა თუ სოციალისტები, პროგრესიული ბლოკიც სამშვიდობო პოზიციაზე სდგას, მოკავშირეთა მხრით (და მათ შორის რუსეთიც არის) ეს გამოძახილს ვერ პოულობს. და როცა ითვალისწინებენ ამ ჟამად რუსეთის მდგომარეობას—ბრძოლის ველზე მის დამარცხებას, აქედან ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ თითქოს რუსეთის დემოკრატიის მიერ დაწყებული სამშვიდობო საქმე დამარცხებულიყოს და მმართველი წრეები კი საშვიდობო სიტყვების წარმოთქმით მხნედ ემზადებიან მეოთხე საზამთრო კამპანიისათვის.

პარტიათა ბლოკს გერმანიის რეიხსტაგში შეადგენენ კათოლიკეთა ცენტრი, პროგრესისტები და ნაციონალ-სოციალისტები (შეიდემანის მიმდევრები). ბლოკის შედგენა გამოიწვია შინაურმა კრიზისმა, როცა სამსახურიდან ბეტმან-ჰოლვეგი გავიდა, ამ ბლოკის დამახასიათებელი თვისება ისაა, რომ მასში მონაწილე პარტია არც ერთი არ იდგა იმპერიალისტურ ნიადაგზე ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. 1897—1913 წლამდე ეს პარტიები იმპერიალისტურ გეგმებს ასე თუ ისე ებრძოდნენ. კათოლიკეთა ცენტრი ყოველთვის ხმას აძლევდა ჯარისა და ფლოტის გასაძლიერებლად გადადებულ სესხს, თუმცა ყოველთვის უსაყვედუროებდა მთავრობას ასეთი ხარჯების გაღებას. ამ პარტიის ბელადები 1897 წელს ამბობდენ: „საერთაშორისო პოლიტიკა სახელმწიფოსათვის იგივეა, რაც განდიდების მანია კერძო პირთათვის“. პროგრესისტები სხვადასხვა ბურჟუაზიულ საზოგადოებებში შედიოდენ წევრებათ, რომელნიც ომის საწინააღმდეგოთ მოღვაწეობდენ, მაგრამ 1897 წლიდან ერთხელაც არ გაუბედნიათ სამხედრო სესხის წინააღმდეგ მიეცათ ხმა. სოციალ დემოკრატები ყოველთვის სამხედრო სესხის წინააღმდეგ აძლევდენ ხმას, თუმცა ომის წინა წლეებში მის მარჯვენა მხარეზე აღმოჩნდენ იმპერიალიზმით დაავადმყოფებულნი. ყველა ზემო ჩამოთვლილი პარტიები ამ ჟამათ მოითხოვენ დაპყრობითი პოლიტიკის წარმოებას ბევრში გავს ეს ბლოკი რუსეთის სახელმწიფო დუმაში არსებულ პროგრესიულ ბლოკს. ისეთივე სიტყვების რახა-რუხი, როგორც ეს ჩვენებურ ბლოკს უყვარდა, ისევე ძლიერათ აჩვენებს ის თავს გერმანიის მთავრობას, თუმცა სინამდვილეში დიდ ძალას არ წარმოადგენს. ასე რომ, ბლოკის გაჩენა კრიზისის გადაწყვეტა კი არ არის, არამედ—მისი დასაწყისია. ეს ბლოკი მთავრობასთან ბრძოლას ვერ ბედავს, მას რევოლიუციის ეშინია; როგორც სახელმწიფო დუმაში ხალხის მასსას წარმოადგენდენ ჩხეიძე, კერენსკი, სკობელევი და სხ., ისე გერმანიის რეიხსტაგში ხალხს წარმოადგენენ ჰაზე, ლედებური და სხვა დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატები. გერმანიაში რევოლიუციის მოხდენა არ არის ისე ადვილი, როგორც ეს რუსეთში იყო, სადაც ქვეყანას რასპუტინი მართავდა. ვილჰელმი ნიკოლოზ მეორე ხომ არ არის, რომ გამოსავალი ვერ მონახოს, მაგრამ დაბოლოს ხალხი, რომელიც მოისურვებს თავის ნების, უფლებობის განხორციელებას, ამას შესძლებს, გამოსავალს იპოვის. ყველაფერი კი ეწყობა გერმანიაში ისე, რომ იქ რევოლიუცია უნდა მოხდეს.

— **პოლიტიკური ემიგრანტები და საელჩო.** პეტროგრადის საბჭოთა საერთაშორისო განყოფილებამ შემდეგი დეპეშა მიიღო სტოკჰოლმიდან: ადგილობრივი საელჩოს მოხელეთა დამოკიდებულება ემიგრანტთა კომიტეტისადმი აღმაშფოთებელია. ასეთ მოპყრობას კავშირი აქვს გარეშე საქმეთა სამინ 22 ივლისს გამოცემულ ცირკულიართან, რომლითაც ლიტიკური ემიგრანცია დამამცირებელ მდგომარეობაშია ჩაყენებული. 25 აგვისტოს ჩვენი კომიტეტის წევრი, უპსალის უნივერსიტეტის მასწავლებელი ალექსანდროვი შეურაცხყო ქუჩური-ლანძღვა გინებით საელჩოს მოხელემ უშაკოვმა. კომიტეტის შესახებ ამ მოხელემ სთქვა, რომ ის ყოველგვარ „ჟიდებს“ უწევს მფარველობას. ამის შესახებ კომიტეტმა პროტესტი განუცხადა ელჩს და დესპანს და საქმის ვითარება საბჭოს და გაზეთებს აცნობა.

თავისუფლება.

მნათობთ სამყარო მოვიხმოთ ქებით,
გუნდი ვამღეროთ—მნათობნი ცისა,
მზე გამოვიხმოთ ფერადი ხმებით,—
თვით მოედვაროს სული მიწისა!..
ვიდოდეთ ლტოლვილთ... ვეწვიოთ ველებს,
უცხო ყვავილებს,—მწვერვალოს მთისა—
დღის მოედანზე აღვმართავთ ხელებს,
სადიდებელათ წითელ სიტყვისა!..
ერთია ფიქრი, ერთია დროშა,
და დღიდისი ნათლით გამთბარი,
ბალი ნანატრი სხივით შემოსა—
სხივით აღინთო ძმობის ლამპარი!..

—

წავიდეთ, ვნახოთ, მოფრინდა ჩიტი—
დაიჭიკჭიკა, გაშალა ფრთები—
ჩაფრინდა გულში სიამის გვრიტი,
მისით ვიცოცხლებთ, მისთვის მოვკვდებით!..
წამოიშალნეთ, ვნახოთ მიდამო,
უცხო წალკოტი—სულს რო ალვივებს,
გადავცეთ სიტყვა, ფიქრი საამო,
ერს გაბრწყინვებულს, მისს მძლე არწივებს!..
ვიდოდეთ ლტოლვით, ვეწვიოთ ველებს,
უცხო ყვავილებს, მწვერვალოს მთისა,
დღის მოედანზე აღვმართავთ ხელებს,
სადიდებელათ წითელ სიტყვისა!..

გილა.

დაუსაბუთებელი წასისიანება.

ჩემს წერილს თბილისელ მასწავლებელთა გამოსვლის შესახებ („მორიგი გამოსვლა“, „ერთობა“ № 120) „სახალხო საქმეში“ მოქალაქე გ. მიქაბერიძე გამოეხმაურა (ნახე უეთიკობა თუ უპრინციპობა. „სახალხო საქმე“ 19 აგვისტო № 29).

დღეს, როდესაც მტერი მთავარ მუხლებშია დასამარცხებელი, როდესაც ფრიად სასურველია შეთანხმებული მოქმედება კონტრ-რევოლიუციისა და ბნელ ძალების წინააღმდეგ, რასაკვირველია, უაზრობაა რომელიმე მეორე ხარისხოვან საკითხის გარშემო ცხარე კამათი გავმართოთ და დღიური ძალღონე მას შევალიოთ. ამის წინააღმდეგი ვარ და სწორედ ამ აზრით დავსწერე ჩემი პირველი წერილი. პარტიულ ქიშპობით გატაცებულნი, ჩვენ იმდენად არ უნდა დავბრმავდეთ, რომ რევოლიუციონურ მთავრობის აგენტებს გული გაუტეხოთ, ვლანძღოთ, ხელი შევუშალოთ, თუნდაც ეს აგენტები მოწინააღმდეგე რევოლიუციონურ პარტიის წარმომადგენელნი იყვნენ. „სახალხო საქმის“ თანამშრომელთან მეც ვფიქრობ: „არ გამოდგება ინტელიგენციის სახელის გატეხა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ინტელიგენცია არ ემხრობა ამა თუ იმ პარტიას“. მაშ რათ უტეხდით სახელს საოლქო კომისარიატში ქართველთა წარმომადგენელს? თუ თქვენ საერთო წესებს არ ემორჩილებით და გამონაკლისს შეადგენთ??

ყველაზე მეტად აღმაშფოთებელია გ. მიქაბერიძის წერილი იმ მხრით, რომ იგი პროვოკატორულია, მას წასისიანების ხასიათი აქვს. ვინ ვის უნდა წაუისიანოს ჩვენმა მოწინააღმდეგემ? მასწავლებლები „ერთობას“ და ჩვენ! მეტად უწუგეშო და დასაგმობი როლია!

მე ვსწერდი: „ჯერ კიდევ გუშინ ყურმოჭრილი მონა-მოხელე, მაზრის უფროსი, თავადი ჯაშუში, პროვოკატორი—ყველა ფიცულობდა—რევოლიუციონერი ვარო“. გ. მიქაბერიძე ამას უმატებს: „და ყველ ფერი ეს შეეხება მასწავლებლებსო“.

ეგ ჩემი მოწინააღმდეგის მხრივ ისეთი არაკადრისი ფანდია, რომ მე სიტყვაც ვერ მიპოვნია მის დასახასიათებლათ. ის, რაც იწერება მაზრის უფროსებსა და ჯაშუშებზე ეკუთვნის მაზრის უფროსებსა და ჯაშუშებს და მხოლოდ მათ! ან იქნებ ისე ყირამალა აქვს ჩემს მოწინააღმდეგეს გადაბრუნებული აზროვნება, რომ დაწერილის გაგება უჭირს? წერილის შესავალში მე საერთო მდგომარეობას ვხატავდი და აზრათაც არ მომსვლია „მთელი მასწავლებლების ჯაშუშებათ, პროვოკატორებათ და კონსერვატორებათ მონათვლა“, როგორც ამას გ. მიქაბერიძე მაბრალებს. პირიქით, მე ვსწერდი, რომ „მათში (მასწავლებლებში) ბევრი ურევია პრინციპისა და იდეის ხალხი მეთქი“. მასწავლებლებზე ისეთი წარმოდგენა, თითქოს მათი წასისიანება ეგრე ადვილათ ცარიელი სიტყვებით შეიძლებოდეს, დასაგმობია და გასაკიცხი! შეუფერებლობაა კამათის მთავარი საგნის მივიწყება და პროვოკატორული ფანდი: ყველას ჯაშუშები გიწოდეს, ჰკა მაგათო!

გაზეთი, რომელიც თავის პრესტიჟს აფასებს, არასოდეს არ მოათავსებს თავის ფურცლებზე გ. მიქაბერიძისებურ დაუსაბუთებელ და უაზრო წერილს!

ზხეფილი.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში

არზრუმი.

კავკასიის ფრონტის ერზერუმის რაიონის ს.-დ. ყრილობა. ადგილობრივ სოც.-დემ. პარტიის ინიციატორობით 10 აგვისტოსათვის მოწვეული იყო კავკასიის ფრონტის ყველა პარტიულ ორგანიზაციის დელეგატთა ყრილობა.

მოსაწვევი ბარათები თავის დროზე დაიგზავნა შემდეგ ადგილებში: ყარსში, სარიყამიშში, ჰასანკალაში, ყარაურგანში, ბაიბურთში, ხნის-კალაში, ერზინჯანში და ტრაპეზონში. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ ყველა ზემო ჩამოთვლილ ადგილებიდან ამხანაგები აღარ გვეწვიენ. დელეგატები გამოგზავნა მხოლოდ სარიყამიშმა 4 კაცი, ჰასანკალამ 2 და ერზინჯანმაც 2. ყრილობა გაიხსნა 10 აგვისტოს ს. დ. კლუბის დარბაზში. თავმჯდომარეთ აირჩიეს ამხ. ხეიფიცი. მდივნათ ვლ. ბურჭულაძე. თავმჯდომარე მოკლე, მაგრამ შინაარსიანი სიტყვით სალამს უძღვნის ყრილობას და უსურვებს ნაყოფიერ მუშაობას.

დღიური წესრიგი იყო:

1) მოხსენება ამხ. დელეგატების ორგანიზაციაში მუშაობის და მის მდგომარეობის შესახებ.
2) პარტიული ლიტერატურის გავრცელება.
3) პროპაგანდისტები.
4) ესერებთან ბლოკის საკითხი დამფუძნებელ კრების არჩევნების დროს.
5) ბიუროს არჩევნები, საარჩევნო კომპანიის მოსაწყობათ.
6) სოც. დემ. პარტიის გაერთიანება.

პირველათ მოხსენებას აკეთებს სარიყამიშელი ამხანაგი ს. ალავერდოვი: ჩვენი ორგანიზაცია იშვა რევოლიუციის პირველ დღეებში, დღეს ჩვენს ორგანიზაციაში დაახლოვებით 1000 წევრი ირიცხება- აქვს თავისი კლუბი სამკითხველოთი, სადაც მოიპოვება ყველა პარტიული ჟურნალ-გაზეთები და ბროშიურები. ვმართავთ მიტინგებს, ლექციებს და სხვა.

ჰასან-კალელი ამხანაგ დელეგატის მოხსენებიდან სჩანს, რომ ჰასანკალაში ორგანიზაციული მუშაობა ეხლა იწყება აღმასრულებელ კომიტეტის სოც. დემოკრ. ფრაქციის თაოსნობით თუმცა ჯერ-ჯერობით საგრძნობ ძალას ვერ წარმოადგენენ. და თუ მომუშავე ძალები ეყოლებათ, იმედი არის, რომ ორგანიზაცია გაძლიერდება.

ასეთივე შინაარსის მოხსენებას აკეთებს ერზინჯანელი ამხანაგიც. დასასრულ ადგილობრივ ორგანიზაციის მომხსენებლათ გამოდის ამხ. ხეიფიცი: ერზერუმის ორგანიზაციამ მოქმედება დაიწყო მარტის ბოლო რიცხვებში ამბობს ის, გაიმართა დიდი მიტინგი პირველ მაისს, გახსნილ იქნა პარტიული კლუბი, გამოიცა ფურცლები; შეძენილია აურიცხელი ბროშიურები, რომლის უმეტესობა უფასოთ დარიგებულ იქნა ჯარის-კაცებში. ორგანიზაციაში ირიცხება 2000-ზე მეტი წევრი; პარტიის კომიტეტს კავშირი აქვს კავკასიის ცენტრალურ კომიტეტთან. კომიტეტის შემადგენლობა თითქმის სრულიად მონაწილეობას ღებულობს მუშათა და სალდათთა საბჭოში. აღმ. კომ. პრეზიდიუმი ჩვენ ხელშია. ვმართავთ ხშირად ერზერუმის სხვადასხვა რაიონში ლექციებს.

ჩვენმა ორგანიზაციამ კავკასიის კონფერენციაში ორი დელეგატი გაგზავნა, სრულიად რუსეთის ყრილობაზე უკვე გაგზავნილია ერთი ამხანაგი.

დამატებით მოხსენებას აკეთებს ამხ. ვლ. ბურჭულაძე. პირველი ნაბიჯი ჩვენი მუშაობისა იმაში გამოიხატება, რომ: გავმართეთ 22 აპრილს მუშათა პრესის დღე. ამან ორგანიზაციას საშუალება მისცა გაფართოვებით მოქმედებისა. დღესასწაულზე მოგროვდა 2,500 მანეთზე მეტი. მაისის ბოლო რიცხვებში გაიმართა პარტიის სასარგებლოთ საღამო ორხელ „ჩაშკა ჩაის“ დარბაზში. წმინდა შემოსავალი 3 000 მანეთი დასტოვა.

ამასთანავე ჩვენი კომიტეტი დაყოფილია შემდეგ სექციებათ: 1) პროპაგანდისტთა კოლეგია, 2) შრომის კომისია, 3) საფინანსო კომისია და 4) სარედაქციო.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კომისიები დიდ ენერგიულ შრომას ეწევიან. ადგილობრივი გაზეთი მ. და ჯ. „საბჭოს უწყებანი“ ჩვენს ხელშია და სხვ.

მოხსენების შემდეგ ყრილობა გადადის მორიგ კითხვებზე: პარტიული ლიტერატურა,

როგორც ამხანაგის მოხსენებიდან გამოირკვა, ფრონტზე საკმაოდ მოიპოვება. მხოლოდ ამხანაგები საჭიროდ სცნობენ ფრონტზე გამოწვეულ იქნას პროპაგანდისტთა ჯგუფი და მოეწყოს ლექციები. ცენტრთან ბლოკის საკითხი დიდ კამათს იწვევს, ამხ. [illegible] ლობარების, ბლოკი აუცილებელია ვინაიდან ფრონტზე ჯარის სულისკვეთება სულ სხვანაირია და მათი უმეტესობა ცენტრების დროშის ქვეშ სდგას. ამხ. ალავერდოვი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს ცენტრთან ბლოკის შეკვრას და მას სულ არ აშინებს მათი სიმრავლე. ერთი მომხრეა ბლოკისა იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის მთავრობა ს.-დ. ყრილობა მიიღებს, მხოლოდ ამის შემდეგ. მეორე კი ამ თავითვე საჭიროდ სცნობს ბლოკს. ამხანაგ აბაშ ძეს ძლიერ აკვირვებს ამხანაგის შიში და წინააღმდეგობა ბლოკის.

დიდი ხნის აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ დაადგინეს, ეს კითხვა გადადებულ იქნას სრ. რუს. ს.-დ. მ. პ. ყრილობის დასრულებამდე.

ვლ. ლაშხაჭრელი.

ქახურა (გურია).

კვირას, 13 აგვისტოს, სოფელ ქახურაში მოხდა პარტიული კრება. კრების მასალა იყო: 1. მოხსენება ახალი წევრების შესახებ, 2. დროშის შეძენა; 3. პასუხის-მგებელ კორესპონდენტის არჩევა; 4. საწევრო ფულის და სტამბის ფონდის საკითხი; 5. მდივნის გამოცვლა; 6. სკოლის გახსნა. ამ კრებას დაესწრნენ ახალი პარტიის წევრებიც. პირველად ილაპარაკა გიორგი ლომსაძემ პარტიულ წევრების მოვალეობის შესახებ, შემდეგ სიმონ ჯორბენაძემ ილაპარაკა ს.-დ. პარტიის პროგრამაზე; გადაწყდა, შეძენილ იქნეს დროშა. ეს მიანდეს პროპაგანდისტს. პასუხისმგებელ კორესპონდენტად აირჩიეს ს. ჯ—ძე, ილაპარაკეს სტამბის ფონდის გაძლიერების შესახებ. მდივნათ აირჩიეს სევასტი დოლიძე. ძველი სკოლა არის უბნის აღგილზე, გარდა ამისა ყველა კუთხეებმა, რომლებიც ამ სკოლით სარგებლობდენ, დააარსეს სკოლები, დარჩა უსკოლოთ ქახური. გადაწყდა დროებით დაქირავებულ იქნას შენობა ორი მასწავლებლისათვის და აგრეთვე ცდა იზრუნონ ძველი სკოლის შენობის გადმოტანაზე. ამ საქმის მოსაწყობად გამგებლად არჩეულ იქნენ: ცეკო ტოტოჩავა, კოწია მგალობლიშვილი, სიმონ მაღლაზონია. ქალთა წრის კრება დაინიშნა ახლო მომავალში.

სიმონ ჯორბენაძე.

პროვინციის ცხოვრება.

თელავი. ეს სამი კვირაა, რაც თელავში სასტიკი ბრძოლაა გამართული სკოლასტიკური ბანკის გარშემო. თელავი თავად აზნაურების ბუდეა. ესენი ვერ ურიგდებიან მშრომელი ხალხის მიერ მოპოვებულ პოლიტიკურ უფლებებს და ცდილობენ ხალხის მეთაურების სახელის გატეხას. ამ ვაჟბატონებმა ლუკაშვილის მეთაურობით მოსწავლეს ჰაერი და ათასნაირი საზიზღარი ცილისწამებით და პროვოკაციით გადაკიდეს მშრომელი გლეხობა პოლიტიკურ ორგანიზაციებს და უფრო კი ს. დ. მუშათა პარტიის რაიონს [illegible] საფუძველს უფრო აქცევენ ზრუნავენ. ლუკეა ბანკი ლუკაშვილით, ამიწყებით შემდ[illegible]ლით, თუ ეს არ აირჩიეთო. გამოირკვეთ იქნებ ყველანი და თქვენ აცხადებთ ლუკაშვილი და მისი მომხრეები აირჩიეთო, უჩიჩინებენ გლეხებს. ასეთმა პროპაგანდამ გავლენა იქონია გლეხებზე და თელავი და ახლომახლო სოფლები ორ ბანაკათ გაიყო. თავადები და მღვდლები სიხარულით ცას ეწეოდნენ, როცა გლეხები თავიანთ მეთაურებს კეტებით ებრძოდნენ. და მართლაც ორი კრება დიდი აურზაურით დამთავრდა. მაგრამ ამათი სიხარული ხანმოკლე გამოდგა. თელავის ს. დ. ორგანიზაციამ გადასწყვიტა მოეწყო მიტინგები სოფლებში და აეხსნათ, თუ რაში იყო საქმე და ვისთვის უნდა დაეჭირათ მათი მხარი. გაიმართა მიტინგები კურდღელაურში, შალაურში და ყვარელ[illegible]ში. გამოუცხადა გლეხობამ დაუფასებელი მადლობა და მუშათა, სალდათთა და გლეხთა მტკიცე შეკავშირების აუცილებლობა. გლეხკაცობამ აშკარად დაინახა, რომ მათ აწყობენ და ერთმანეთს დაგვსევენ თავიანთ შეცდომა და ზიზღი გამოუცხადეს მათ, ვინც ისინი შეცდომაში შეიყვანა და თავიანთ ძმებს გადაჰკიდა. გადაწყვიტეს კვირას 20 მარიამობისთვის ბანკის კრებაზე წითელი დროშებით წასულიყვნენ თელავში მუშათა საბჭოს ბინაზე და იქ მუშებთან ერთად შეერთებულნი ბანკის კრების წინ რიგ[illegible] დაიღალებოდნენ. იქ იკრიბებიან ბაღში თავადი ლუკაშვილის დამქაშები და ჩინოვნიკები: მოველით გლეხები კეტებით და ამ სოციალისტების შავი დღე დაეყენებინო. ამ მოლოდინში იყვნენ როდესაც გამოჩნდა წითელი ბაირაღები. სამი სოფლის გლეხები ერთათ შეერთებული და სიმღერის ხმით გამოსვლით მოდიოდნენ. ბნელეთის მოციქულები გაოცებულნი დარჩნენ. ისინი ამას არ მოელოდნენ. გლეხები მუშათა საბჭოში მოვიდნენ. იქ გაიმართა თათბირი და შემდეგ ბანკის დარბაზისაკენ გასწიეს. ღარიბულად მოიწონეს არჩევნები და შედეგები არჩევნების. ლუკაშვილის ნაცვლად არის, სამაგიეროთ ასმის: ჩვენი მუშათა პარტიის კანდიდატები გავიდნენ. ამოირჩიეს ლ. გოგიავა (ს. დ.) გამგეობის წევრად ნაცვლად გ. კიკვიძისა. საბჭოს წევრად ს. მაჭავარიანი, ნაცვლად მ. ხიზაბურაშვილისა, ასე დამთავრდა თელავის ბანკის არჩევნები და ლუკაშვილის

შვილის ბატონობასაც ბოლო მოუღო სამუდამოთ.

ხოხო.

ზემო ავჭალა. რევოლუციის დაწყების შემდეგ გავიდა ერთი ორი კვირა და ყველასათვის ცხადი შეიქნა, რომ ძველი რეჟიმი არასოდეს არ დაბრუნდებოდა. ზემო ავჭალის ბავშვთა აღმზრდელ ახალშენის დირექტორმაც, კ. ა. მყონიამ, იშოვა სადღაც წითელი დროშა, უბრძანა მოწაფეებს ემღერათ მარსელიოზა და შემდეგ სოფლელთა მიტინგის მოწვევას. მიტინგზე დირექტორმა მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა, თავი ამოყო აღმასრულებელ კომიტეტში და ჩხეიძეს გაუგზავნა მისალმების დეპეშა, რომელსაც ქვეშ მოაწერა: „მიტინგის თავმჯდომარე კ. მყონია“.

დაბრუნდა ახალშენში თუ არა, მან მოიწვია „ამხანაგები“ მოსამსახურეები და ამაღელვებელ სიტყვაში გაურკვია მათ მომენტის მნიშვნელობა: „ჩვენ ახლა ყველა თავისუფალი მოქალაქეები ვართ, ყველა ამხანაგები ვართ!.. წავიდა ის დრო, როცა დესპოტები შეიძლებოდა ადამიანის დამცირება. დღეს ჩვენ თავისუფლათ ვიტყვით თავისუფალ სიტყვასო...

დღეს ამ ლამაზათ ლაპარაკობდა დირექტორი მყონია, და მის სიტყვებმა კეთილი გრძნობები გამოიწვია მსმენელთა გულში. მოსამსახურებმა იგრძნეს თავისუფლება და სთქვეს „თავისუფალი სიტყვა“.

„დიახ, არაფერია, ჩვენც ადამიანები ვართ. ამიტომაც ჩვენ გვამცირებს, სირცხვილსა და ბრაზსა გვგვრის, როცა თქვენ გვეყვირით, გვლანძღავთ, გვცემთ მუშტებით და მათრახით, გვიძევებთ სამსახურიდან, ყოველთვის გვაწყენინებთ ჯამაგირის მოცემის დროს, გვაიძულებთ ისეთი სამუშაო შევასრულოთ, რომელიც ჩვენ ძალას აღემატება... მოგვეპყარით ჩვენც, ბატონო დირექტორო, როგორც ადამიანებს“.

მოდი და ამის შემდეგ ამ „შეუგნებელ“ მოსამსახურეებს უკადრებ ლექციები მშვენიერ თავისუფლებაზე!..

მ.

ცაგის საზოგადოება (ქვემო რაჭა). ეს საზოგადოება მეტად რთული მეურნეობით მოსავლიანიც აქ კარგი იცის. მხოლოდ მცხოვრებნი კი განვითარებით მეტად ჩამორჩენილნი არიან. ეს გარემოება უნდა მივაწეროთ უმეტესად გეოგრაფიულ მდებარეობას. მთა-გორიანი ადგილი, მოშორებული ყოველგვარ განათლებულ ადგილებს და გზებს—ეს ხელს უშლის ხალხის განვითარებას, მთელ საზოგადოებაში ძლივს მოიპოვება ორ-სამი ინტელიგენტი და მოწინავე პირი. ამათ დიდი შრომა დასწვა ამ ხანაში, მაგრამ ეს მეტის ძალა ეყოთ გამოდგა რომ გარეშე საზოგადოებიდან არ ეწვიოდნენ დახმარებას ამხანაგები მაგალითად. ამ მოკლე ხანში გვეწვივნენ და დაგვესწრნენ კრებას ქვემო რაჭის მოლაპარაკე ამხ. თეიმურაზ ჭელიძე, ილია ჭელიძე და ბექტორ სახ ძე. ამათ თანდასწრებით მოხდა კომიტეტის წევრების არჩევა (ძველი გადაიდგა), შემდეგ ამ პირებმა დიდი დახმარება გაგვიწია ბიბლიოთეკის და კოოპერატივის მოწყობის საქმეში. ბიბლიოთეკის დაარსებაში დიდი ენერგია გამოიჩინა მარია დიმიტრის ასულმა სოხაძისამ, რომელმაც 112 მან. მოაგროვა ბიბლიოთეკის სასარგებლოთ. ამ კრებაზევე ილია ჭელიძემ მოგვცა რ. ს. დ. მ. პ. ორგანიზაცია, მხოლოდ თეიმურაზ ჭელიძემ მოხსენება გააკეთა 20 ივნისის ყრილობის შესახებ. შემდეგ ამისა კრებამ გადასწყვიტა გაეგზავნოს მისალმების დეპეშა ქ. ტფილისში სალდათთა, მუშათა და გლეხთა ცენტრალურ საბჭოს და უსურვებს ნაყოფიერ მუშაობას ხალხის საკეთილდღეოთ.

კომისარი ო. მერ—ძე.

საგურამოს რაიონი (დუშეთის მაზრა). რამდენიმე თვის წინათ გაზეთის ფურცლებზე ორჯელ საკმაო ღრმა დამახინჯებით საგურამოს რაიონის ჩამორჩენა სწავლა-განათლების მხრივ. ეს რაიონი თავისი მდებარეობით, ისეა მოწყობილი რომ შესაძლებელია ამ რაიონში რამდენიმე სკოლა გაიხსნას. მაგრამ მიუხედავათ პირობებისა, აქ მაინც ჩამორჩენილნი ვართ. სკოლები არ მოგვეპოვება და არც მოთავენი სჩანან წყვდიადით მოცულ რაიონში. წინათ თუ დაბრკოლებანი გვხვდებოდა წინ, დღეს ხომ ამას მოკლებულნი ვიქნებით ამ განახლებულ დროში და სრული თავისუფალი სარბიელი გვეძლევა, იქვე ხალხის სწავლა-განათლების საქმე პროვინციებში ფართოთ მოეწყოს. ამ მიზნის განსახორციელებლად საჭიროა ხოლოდ აქაური ინტელიგენტური ძალთა შეგნება, მაგრამ ჩვენ აქ ვერც ამის ნიშანს რამეს ვხედავთ.

ამ რაიონში არის ორი-სამი სასწავლებელი: ერთი წინამძღვრიანთ-კარის—სამეურნეო სასწავლებელი, პოპიტისა და გურამიანთ-კარისა. გვ ქვს ერთი და [illegible] ამათ, გულ ახლოთ კი რომ მივაბრუნოთ, ვერც ეს სამი სასწავლებელი აღწევენ თავიანთ მიზანს, სამივეს რაღაც ნაკლულევანება აქვს და ხალხის მოთხოვნილებას სწავლის მხრივ ვერ აკმაყოფილებენ.

ხალხისათვის ავიღოთ თუნდა წინამძღვრიანთ კარის სამეურნეო სასწავლებელი; ეს სასწავ. არც. სამეურნეო სასწავლებელია. ამ სასწავლებელს სახელი დიდი აქვს გავარდნილი, ისე კი მოწაფე მანქანის წარმოდგენა: მოსწავლეთა რიცხვიც თითქმის სულ გარეშე მოსულ ყმაწვილებისაგან შესდგება ამ სასწავლებელში, მაგრამ შიგ კი არაფერი ყრია. ადგილობრივი და მახლობელი სოფლების მცხოვრებნიც დაიარებიან აქ, მაგრამ ნაკლებათ, ცოტ წყნარად ზოგიც სიშორისა გამო ვერ ეკარება სასწავლებელს. სხვანაირათ რომ ვსთქვათ, ეს სასწავლებელი ვერ იზიდავს მსურველთ, არ არის გაცნობილი აქ სწავლა, რადგაც აკლია. ამიტომ: მომავალ სასწავლო წლიდან ეს სასწავლებელი განახლებულ პირობებში ჩამოყალიბდება, ცვლილებებს შეიტანენ და საქმეც უფრო უკეთესათ მოეწყობა. ჩვენც ამისი მოწმენი გახლავართ. გურამიანთ-კარის სასწავლებელიც ვერ აღწევს თავის დანიშნულებას. ათი წელიწადია ეს სასწავლებელი არსებობს ილია ჭავჭავაძის სახელობის და ამ ხნის განმავლობაში ათი დღე არა ყოფილა ნორმალურ პირობებში: ხან მოწყობილი არ არის, ხან რა აკლია, ხან შენობა და სხვა. ამ სასწავლებლის მოუწყობლობაში დიდი ბრალი მიუძღვის ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას. მან დღემდის ვერ შესძლო ჯერ კიდევ ხეიბრულ სასწავლებლისთვის წესიერი ხელმძღვანელობა გაეწია.

პოპიტის სასწავლებელზე რაღა მოგახსენოთ: ამ სასწავლებლის არსებობა არ არსებობას წ[illegible] დგეს.

როგორც მკითხველიც დაინახავდა, საგურამოს რაიონის სამივე სასწავლებლები საჭიროდ არაა მოწყობილი და ვერც აკმაყოფილებენ მცხოვრებთა მოთხოვნილებებს. ასეთ გარემოებას ეძლევა მაინც უნდა მივაქციოთ ყურადღება. არსებულ სასწავლებლებს გარდა ამ რაიონში საჭიროა სხვა ახალი სასწავლებლებიც, რომლების გახსნაზედაც აუცილებლივ უნდა იზრუნოს ამ რაიონის კომისარმა და აღმასრულებელმა კომიტეტმა. ეს მათი საქმეა, სხვა არავისი.

ამ რაიონში ეკუთვნისთვალენ სამი სასწავლებელი ადგება საჭირო: ერთი—სოფ. შანდ[illegible]ვანში, სადაც დიდი ხანია, ხალხი სურვილს აცხადებს (ამ სოფლის მცხოვრებნი ისინი არიან) სკოლის საჭიროების შესახებ, მაგრამ კი არავინაა.

რომ ამ სოფელს სკოლა უნდა, ეს შემდეგიდან სჩანს: ზედამოის მონასტრის წინამძღვარი მიუწვევიათ მასწავლებლად, ბერი ამ მონასტრისა ბ. იოანეც დასთანხმებია და სოფელში სკოლა გაუხსნია. სწავლა მოეწყვია ბერისა. მთელი ხარჯი სოფელს ეკისრება სკოლისა, მონასტრის მაძღრისთვის შრომის ფასიც კი უძლევნიათ, სწავლის მსურველნი ბევრნი ყოფილან.

ამიტომ სკოლის გახსნა აქ სულ ადვილია. აუცილებლივ საჭიროა ეკუთვნისთვალენ ზემოხსენებულ სოფელში გაიხსნას სასწავლებელი. შენახვას სოფელი იკისრებს.

საჭიროა აგრეთვე სკოლა სოფ. ცხვარიჭამიაში (ამ რაიონის სოფელია). ამ სოფლის მცხოვრებლებმა პირადათ მე რამდენჯერმე მომმართეს სკოლის დაარსების შესახებ, მაგრამ მარტო მე რას გავაწყობდი.

სკოლას თხოულობს აგრეთვე სოფ. ბიწმენდიც. ამ სოფლიდან რამდენიმე ყმაწვილი დაიარება წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სასწავლებელში, მაგრამ ბევრნი კი სკოლის გარეთაა დარჩენილი. ამ სოფელშივე სკოლა რომ იყოს, მაშინ ბიწმენდს და სოფ. ახალნის მცხოვრებნიც ისარგებლებდენ. ეს ორი სოფელი ახლოა ერთმანეთზე და ერთი სასწავლებელი საკმარისი იქნებოდა.

საზოგადოთ, საგურამოს რაიონში ზემოთ დასახელებულ სამ სოფელში სკოლების საჭიროა. ამას ხელმძღვანელი უნდა ეხოლოდ და იმედია ამას იკისრებს დეკ. ანტ. მამულაშვილი. როგორც აქური და კომისარის თანაშემწე.

მაისში ქ. დუშეთში ორი სამი დიდი მიტინგი გამართა. იქ ყველა სოფლის წარმომადგენლები გაიძახოდნენ: „დაგვიარსეთ სკოლებიო, ყველას სწავლა გვსურს, განათლებაო“ ამ მიტინგებზე საგურამოს რაიონის წარმომადგენლებიც ღებულობდენ მონაწილეობას. დიახ, საჭიროა სკოლები.

სოფლელი ამხანაგი.

წერილები რედაქციის მიმართ.

„ერთობის“ № 112-ში ხიდისთავიდან მოთავსებულია ერმოლე კვაჭანტირაძის, ირაკლი ქორიძის, ტელემაკი, ასალო და ფილიპე კალანდაძეების, ესე ბ—შვილის, გიორგი თავბერიძის, გიორგი მჭედლიშვილის და ვარდენ ნოსაძის მიერ ხელმოწერილი წერილი ხიდისთავის მოსამსახურებელთა საზოგადოების შესახებ. ჩვენ არც დრო გვაქვს და არცსაჭიროდ ვთვლით მათ ყოველ გვარ შავრაზმულ გამოსვლებს პრესის საშვალებით პასუხი ვაძლიოთ, მაგრამ პატივცემული მკითხველი რომ შეცდომაში არ შევიდეს და მათ წერილში მოყვანილი ხალხზე სინამდვილეთ არ მიიჩნიოს, ამიტომ ჩვენ იძულებულნი ვართ მათ პასუხი გავცეთ. აქვე საჭიროა მივაჩნია საზოგადოებამ იცოდეს, ვინ არიან ეს ვაჟბატონები, მართლაც კოოპერატივის ინტერესები აწუხებთ მათ, როგორც ისინი თავის წერილში ბრძანებენ, თუ სხვა რამ? ერმოლე კვაჭანტირაძე და ირაკლი ქორიძე გახლდათ ყოფილი პარტიის წევრები, რომლებსაც 7—8 წელიწადია არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ არც პარტიულ მუშაობაში და არც ერთ საზოგადო საქმეში.

ერმოლე კვაჭანტირაძე დღეს სოფლის ჩარჩი გახლავთ და მას იმდენათ აინტერესებს კოოპერატივის ბედ-იღბალი, რამდენადაც თვითეულ სოფლის ჩარჩს. ირაკლი ქორიძემ თავისი რევოლუციონერობა ერთხელ კიდევ დაამტკიცა ოცის თავების არჩევნების დროს, როდესაც მან ხმა მისცა ცნობილ შავრაზმელ ასალო კალანდაძეს და მით გააშავა ჩვენი ერთი საუკეთესო ამხანაგი. ტელემაკი კალანდაძეს ბათუმის მუშებიც კარგად იცნობენ, ეს ერთი მუშათაგანი იყო, რომელსაც არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ბათუმის მუშათა მოძრაობაში, სამაგიეროდ მთელ თავის თავისუფალ დროს ბათუმის ყავახანებში ატარებდა კარტ ნარდის თამაშში. ასალო და ფილიპე კალანდაძეები ხომ ცნობილი რეაქციონერები არიან ხიდისთავში, ვინ იცის მათი წყალობით რამდენი საზოგადო საქმე არ დაღუპულა აქ. ისინი ყოველთვის ახალი საზოგადო საქმის აშკარა მტრები იყვნენ და არიან დღესაც, და ამას ისინი არც მალავენ და აშკარადაც ეწევიან თავიანთ რეაქციონურ საქმეებს. დანარჩენებზე მე არას ვიტყვი, რადგანაც ისინი უბრალო იარაღი არიან იმათ ხელში და ამ მხრივ ისინი საბრალოების ღირსნი უფრო არიან, ვინემ კრიტიკის.

მკითხველი აშკარად დაინახავს იმას, რომ ამ ვაჟბატონებს და კოოპერატივის ინტერესებს შორის არავითარი დამოკიდებულება არ არის, პირიქით ისინი თავისი მოქმედებით ცდილობენ კოოპერატივის საქმეებს ხელი შეუშალონ და მით კოოპერატივი სამუდამოდ გააქრონ.

მაშ რა ამოქმედებთ მათ? რატომ ასე თავგამოდებით იბრძვიან ეს პატივცემული „მოქალაქენი“? მათ და ადგილობრივ მოწინავე პირებს შორის მუდამ ბრძოლა იყო გამართული. ისინი ყოველთვის ცდილობდენ ათასგვარი ყალბი ბრალდებები წამოეყენებინათ მოწინავეების წინააღმდეგ, რომ ჩირქი მოეცხოთ. რეაქციონერები აქ ძალიან ხშირად გამოდიან. ისინი ყოველთვის გამოდიან რომელიმე კულტურული დაწესებულების, უმეტესად კი კოოპერატივის, ვითომ დამცველად. ნამდვილათ კი ებრძვიან იმ მოწინავე პირებს, რომლებიც მუშაობენ ყოველგვარ კულტურულ და საზოგადო დაწესებულებებში და რომლებიც ააშკარავებენ მათ შავრაზმულ და ბნელ მოქმედებას. აი ეხლაც ამ ვაჟბატონებმა ცნობილ შავრაზმელ მღ. პავლე დომბაძის მეთაურობით ერთხელ კიდევ გამოილაშქრეს კოოპერატივის წინააღმდეგ. შეადგინეს სია, დაიწყეს ბაზარში სიარული და მოტყუებით აწერინებდენ სიაზე ხელს კოოპერატივის წევრებს. ბევრმა მათ სიაზე ხელის მომწერლებმა კრებაზე აშკარად განაცხადეს, რომ ისინი მოატყუეს.

ბევრს ისეთებსაც ქონდათ სიაზე ხელი მოწერილი, რომლებიც სახლში არ იმყოფებოდენ. ასეთი უწმინდური საშვალებით შეადგინეს 80 კაცის სია და გამგეობას მოსთხოვეს კრების მოწვევა. გამგეობა წინდაწინვე დარწმუნებული იყო, რომ ისინი ვერავითარ ბრალდებებს ვერ წამოაყენებდენ, მაგრამ კრების მოწვევა მაინც საჭიროდ დაინახა.

კრება მოეწვია 28 მაისს. აშკარად ეტყობოდათ, რომ ისინი დარაზმული მოსულიყვნენ კრებაზე. ეს გამოჩნდა თავმჯდომარის არჩევის დროს. თავმჯდომარედ სრულიად შემთხვევით არჩეულ იქნა ლ. მეგრელიძე, რადგანაც ჩვენ თავმჯდომარის არჩევნებისათვის დიდი ყურადღება არ მივაქციეთ. ჩვენ ვსთხოვეთ მოგვესმინა გამგეობის და მოსამსახურე პირების წინააღმდეგ ბრალდებები. ამ დროს თავმჯდომარე იღებს ქაღალდს ხელში და კითხულობს შემდეგს: „ჩვენ, ამ სიაზე ხელის მომწერლები, (ჩამოთვლილია მათი სახელი და გვარი) გამგეობის და მოსამსახურე პირების წინააღმდეგ არავითარი ბრალდება არა გვაქვს, მაგრამ რადგანაც ისინი დიდი ხანია მუშაობენ კოოპერატივში, ჩვენ მოვითხოვთ ცვლა ისინი გადადგენ და ახლები იქნან არჩეულიო“. ასეთმა განცხადებამ სიცილი და აურზაური გამოიწვია. ერთმა ჯგუფმა მოსთხოვა მათ განსაზღვრული ბრალდებების წამოყენება და ბრალდებების დამტკიცების შემდეგ კი გამგეობის გადაყენება.

მაგრამ აქ აირივს და დაიწყეს სხვა რამეებზე ლაპარაკი. ამ დროს სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის სახელით სიტყვას ღებულობს ამხ. სერგო მ—თი—შვილი, კრებაზე ააშკარავებს ამ შავრაზმელების ვინაობას და მოღვაწეობას. ამხ. სერგოს სიტყვები ყველაზე უფრო მწვავედ გულში ხვდებათ ასალო კალანდაძეს და მღვ. პ. დომბაძეს. რაკი დაინახეს, რომ ისინი სასტიკად მარცხდებოდენ, მიატოვეს კრების ჩიშლა. ყველაზე უფრო ღელავდა მღვ. პ. დომბაძე, რომელიც ყვიროდა: „ჩვენ აქ ადგილი არა გვაქვს, კრება მოგატყუებთ“ და სხვა. ამხანაგმა სერგომ მღვდელს მიმართა ასეთი სიტყვებით: „თუ შენ კიდევ არ მოიშლი ეგრე დარბევას, მაშინ იძულებული ვიქნებით დაგატყვევოთო“. ამას კრება სიამოვნებით შეხვდა. თქვენ კი ბრძანებთ, თითქოს ამხანაგის სიტყვებს ხალხი დაეშინებინოს, მღვდელს იქცევს, ჩვენ კატორღაში გაგვგზავნიანო და სხვა. მეტყვის, რათ დაჭირდათ აშკარა ფაქტის გადამახინჯება. თქვენ ბრძანებთ, თითქოს გამგეობა და მოსამსახურე პირები იყვნენ იმაში დამნაშავე, რომ ახლო ხანში სოფლები კოოპერატივებს ხსნიან. ამ არა სასიამოვნო მოვლენის გურიაში აქვს ადგილი, მაგრამ თუ გინდა კია ამაში დამნაშავე, ვეტყვი პირდაპირ—ეს თქვენისთანა რეაქციონური ელემენტებია, რომლებიც ცდილობენ ათასგვარი ყალბი ბრალდებების წამოყენებით ჩირქი მოსცხოთ პატიოსან მომუშავე პირებს და მით ხალხს გული აუცრუოთ და ჩამოაშოროთ კოოპერატივებს. დამბადეს ჯერი მისდგა გამგეობას და შიგ მოსამსახურე პირებს ნდობის გამოცხადებაზე. ზოგიერთები მოითხოვდენ ფარული კენჭის ყრას. კრება დაუდგინა, ობსტრუქციონერები არ სცხრებიან, ფარული კენჭის ყრა ყოვლად შეუძლებელი ხდება. ამხ. ვარდენ კალანდაძე თხოულობს აშკარა კენჭის ყრას. კრება ღებულობს ამ წინადადებას. ერთი ნაწილი ლანძღვა-გინებით გარეთ გადის. კრებაზე დიდი უმრავლესობა რჩება და ეკუდება კითხვების გარჩევას. კრებამ არ გაიზიარა არც ერთი მათ მიერ წამოყენებული ბრალდებები და გამგეობას და მოსამსახურე პირებს გამოუცხადა სრული ნდობა. კრებამ აირჩია საგანგებო კომისია, რომელსაც დაავალა გამგეობასთან შეთანხმებით ყველა არა სასურველი და მავნე წევრების კოოპერატივიდან გამორიცხვა. ამის შემდეგ კიდევ შეეწევთ ამ ვაჟბატონებს განმეორებით ილაპარაკონ, თითქოს გამგეობის და მოსამსახურე პირების საზოგადოება უკმაყოფილო იყოს. კმარა ბატონებო!

ვ. ბე—ლი.

აკეთის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს გამგეობა მადლობას უცხადებს მე-14 კავკასიის მუშათა ბატალიონს, მე-7-დე როტის ჯარისკაცს მიხეილ მეგრელიძეს, რომელმაც ამხანაგებში შეაგროვა ოცდახუთი მანეთი და გამოუგზავნა სამკითხველოს.

მადლობას უცხადებთ აგრეთვე ივლიანე ნოეს ძე ქეიშვილს, რომელმაც სამკითხველოს შემოსწირა ოცდაორი მანეთი.

აკეთის სამკითხველოს გამგეობის წევრი

ლ. თოხაძე.

მადლობას ვუცხადებთ მოქალაქე იოსებ პავლეს ძე ოვეზოძეს, რომელმაც დახმარება აღმოუჩინა თავის სოფლის, წიაღობნის, მომავალ უფასო წიგნთ საცავ სამკითხველოს და შემოსწირა 104 მანეთი.

ამხ. ირაკლი იონისიმეს ძეს, რომელმაც მოწოდების ფურცლით ამხანაგ-მეგობრებში შეაგროვა 55 მ. 25 კ. მადლობას ვუცხადებთ იმ პირთ, რომლებიც არ დაიშურეს თავიანთი წვლილი ამ სიმპატიურ საქმისთვის.

პატივისცემით სამკითხველოს მზრუნველი

კლიმენტი ონ. თევზაძე.

7 აგვისტოს აგარაკ წაღვერში მოწყობილმა გამართეთ ინტერნაციონალური საბავშვო საღამო. სულ შემოსავალი იყო 136 მ. 35 კ., მაგრამ ჩვენი მოლარე თ—დი ს. თ—ლი იმდენათ უპირცხვილო გამოდგა, რომ გაიტაცა ფულები და გაიქცა ქუთაისში. პასუხისმგებლობა იკისრა ლიდამიმ, რომელმაც გადმოგვცა 100 მანეთი, მხოლოდ 36 მანეთი კი დაგვეკარგა. ხარჯები იყო 45 მ., წმინდა შემოსავალი იყო 55 მ., რომელიც გავუყავით შუაზე სომხებმა და ქართველებმა. თითოს ერგო 27 მ. და 50 კ., რასაც ამასთანავე გაგზავნით და გთხოვთ ეს ფული მიუმატოთ პარტიულ სტამბის ფონდს *).

პატივისცემით გრიშა ზარ. კილაძე.

ვანო გიორგის ძე ვესაძეს და დომიტრე ალექსანდრეს ძე გუგავაძეს უღრმესს მადლობას უძღვნიან წითელ მთის სოფლის მცხოვრებნი, რომლებმაც სოფლის სამკითხველოს ბინისა და მოწყობისთვის ას-ასი მანეთი შემოსწირეს.

წითელი მთის სამკითხველოს სასარგებლოთ მოვაგროვე 15 მანეთი და 50 კ. მოქალაქე ხარლამპი ლევანტის ძე ჩიტაიშვილიდან, რისთვისაც დიდ მადლობას უძღვნის აღნიშნული საზოგადოება.

მონაწილეობით დ. ეუქომიშვილი.

მადლობას ვუცხადებთ ამხანაგ მიხეილ ჭუედაძეს, რომელმაც ხუთი მ. შესწირა ღელის სკოლის შენობის აშენებას. სკოლის ფონდი ამ ჟამად 205 მანეთია.

ღელის სოფლის მცხოვრებლების რწმუნებული ი. ხ. ნებაძე.

ჩვენ 1 კავკასიის კორპუსის ქართველნი ჯარის-კაცნი, ოფიცრები, ექიმები და სამხედრო მოხელენი გთხოვთ ყველა საქართველოში მყოფ პოლიტიკურ პარტიების რედაქციებს დახმარება აღმოუჩინოთ ჩვენს განმანათლებელ ამხანაგს, სერაფიონ ერმილეს-ძეს ჭელიძეს, რომელსაც დავალებული აქვს შეიძ. ქართ. ლიტერატურა, მასალები საქართველოს ისტორიის შესასწავლით, ყველა საქართველოში მყოფ პოლიტიკურ პარტიების წიგნაკები (ბროშურები) და ქართველ მწერლების სურათები. (შოთა რუსთაველი, ილ. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ეგნატე ნინოშვილი, ნიკო ლომოური და არჩილ ჯორჯაძე და სხვები). ერზინჯანის ქართველ სამხედრო-პირთა სამკითხველოსათვის. იმედია, სათანადო დახმარებას აღმოუჩენს ზემოხსენებულ პირს აღნიშნულ საქმის პირნათლად მოსაგვარებლად.

გამგეობის თავმჯდომარე

ივანე გ. ქუთათელაძე.

შემოწირულება მიიღება „ერთობის“ რედ.

---

*) რედაქციამ მიიღო 27 მ. და 50 კ. სტამბის ფონდის სასარგებლოთ.

ბუხგალტერიის და კონტორის ცოდნათა კურსები

პირველ თფილისის კომერციულ სასწავლებელთან ორივე სქესის პირთათვის. მეცადინეობა დაიწყება 10 სექტემბრიდან, გათავდება 20 დეკემბერს. თხოვნები მიიღება სასწავლებლის კანცელარიაში. (15—6)

სწრაფად-მბეჭდავი სტამბა რუსთაველის გამზირის შესახვევი № 1.